ლიტერატურული საქართველო

12 ივლისი 1938 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 17 (72)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო მგზნებარე, ბოლშევიკურ სალამს გიგზავნით თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა დიდ ბელადს, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ქართველი ხალხის პირველ დეპუტატს.

ქართველმა ხალხმა, რომელსაც წარსულში გამანადგურებელი შემოსევებით აოხრებდნენ მონღოლი, სპარსი და თურქი დამპყრობელები, ხალხმა, რომელიც დამონებული იყო მეფის თვითმპყრობელობის მიერ და რომელსაც შეუბრალებლად უწევდნენ ექსპლოატაციას თავადები, მემამულეები, კულაკები და ვაჭრები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების პირობებში მოიპოვა ნამდვილი თავისუფლება და გამოვიდა სამეურნეო და კულტურული გაფურჩქვნის ფართო გზაზე.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ სამუდამოდ განამტკიცა ხალხთა თავისუფლება, მოახდინა ფიქსაცია მათი ხელშეუვალი უფლებებისა — თვითონ გადასწყვიტონ თავისი ბედი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა მთელს მსოფლიოს დააწახვა სსრ კავშირის თავისუფალი და ბედნიერი ხალხების ურღვევი მთლიანობა და დარაზმულობა **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, მათი შეურყეველი ნებისყოფა— განახორციელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისათვის კენჭისყრაზე თქვენი თანხმობით აღფრთოვანებულმა ქართველმა ხალხმა თავისი კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, უდიდესი აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით ჩაატარა სახელმწიფო ხელისუფლების თავისი უმაღლესი ორგანოს—უმაღლესი საბჭოს არჩევნები და ერთხელ კიდევ ნათლად ცხადჰყო თავისი დარაზმულობა ბოლშევიკების პარტიის გარშემო, ერთგულება სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობისადმი და უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება თქვენდამი, ჩვენო მშობლიურო ბელადო და მასწავლებელო!

ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმითი, რომ თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, თავის პირველ რჩეულად ჰყევხართ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებას ქართველ ხალხთან ერთად ზეიმობენ ჩვენი თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხები, რომელნიც გაერთიანებული არიან ურღვევი სტალინური მეგობრობით. ყველა ამ ხალხმა კარგად იცის, რომ თავის თავისუფლებას, თავის ბედნიერებას უნდა გიმადლოდეთ თქვენ, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენ მესაჭეს. ყველა ეს ხალხი ერთნაირად მიისწრაფოდა, რათა ჰკირსებოდა უდიდესი პატივი—თქვენ ჰყოლოდით პირველ რჩეულად თავის უმაღლეს საბჭოში.

თქვენი გენიალური წინამძღოლობით დღითი-დღე ძლიერდება ჩვენი სამშობლო, ძლიერდება საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, სწრაფად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა, მაღლდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონე.

ლპობის პროცესში მყოფი კაპიტალიზმის სამყაროში კი დღითიდღე სულ უფროდაუფრო ირყევა ეკონომიური და პოლიტიკური საყრდენები,—ღრმავდება ეკონომიკისა და კულტურის კრიზისი, ძლიერდება ხალხის უფართოესი მასების გაღატაკება.

სოციალიზმის ქვეყნის დაუძინებელი მტრები — ბურჟუაზიულ-ფაშისტური სახელმწიფოები და მათი ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა აგენტები ვერ ურიგდებიან ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ბედნიერებას. მათ განზრახული ჰქონდათ მავნებლობის, ჯაშუშობისა და დივერსიის საშუალებით ჩაეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ საზიზღარი მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ.

თქვენი, ამხანაგო **სტალინ**, ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გააცამტვერა მტრის ძირითადი ბუდეები და აღგავა ისინი პირისაგან ჩვენი სამშობლოს მიწისა.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი გარშე მტრები გაძლიერებულად ამზადებენ დანაშაულებრივს ომს საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ, რომ ისინი ისევ და ისევ ცდილობენ შემოგზავნონ ჩვენში თავისი აგენტები, ჯაშუშები და დივერსანტები.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით ჯერჯერობით კიდევ დარჩნენ გაცამტვერებული ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდის ნაბოლარები.

მაგრამ ვერასოდეს და ვერავინ ვერ შესძლებს წაართვას სსრ კავშირის ხალხებს თავისუფლება და ბედნიერება!

შეიტ აღებულნი თქვენი ბრძნული მითითებებით სამხედრო თავდასხმის საშიშროების წინაშე ხალხის რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისა და მობილიზაციური მზადყოფნის საჭიროების შესახებ, სსრ კავშირის ხალხები გამოამჟღავნებენ და საბოლოოდ მოსპობენ პარტიისა და ხალხის განადგურებული მტრების ნაშთებს, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ ყოველ მტერს, რომელიც გაბედავს და ხელჰყოფს სოციალიზმის დიადი ქვეყნის წმინდათა-წმინდა საზღვრებს.

ქართველი ხალხი იქნება სამშობლოს დაცვისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მისი თვალუწვდენელი საზღვრების ყოველ უბანზე.

შეიკრიბა რა თავის პირველ სესიაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო — საქართველოს მეწა-წყლის ბატონ-პატრონი, სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, რომ ის დიადი სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნებთან სრული შეფარდებით ჩაატარებს თავის მუშაობას.

ჩვენ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, გვახსოვს და არასოდეს არ დაგვავიწყდება თქვენი ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ დეპუტატი ხალხის მსახურია, მისი წარგზავნილია უმაღლეს საბჭოში და ვალდებულია განუხრელად შეასრულოს ხალხის ნება-სურვილი.

მთელს ჩვენს ძალასა და **ცოდნას** მოვახმარებთ იმას, რომ ჩვენ, როგორც ხალხის დეპუტატები, თქვენი მითითებების თანახმად, მუდამ ჩვენი ამოცანების სიმაღლეზე ვიდგეთ და ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწეები ვიყვნეთ.

გამოჰხატავს რა ქართველი ხალხის ნება-სურვილს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, რომ იგი, განუხრელად განახორციელებს რა სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებს, დაიცავს და კვლავაც განამტკიცებს ხალხთა სტალინურ მეგობრობას, უფრო მჭიდროდ დარაზმავს მასებს **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, კიდევ უფრო მაღლა ასწევს **ლენინ-სტალინის** დიად უძლეველ დროშას და კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ წაიყვანს ქართველ ხალხს.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას!
გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!
გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!
გაუმარჯოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს!
გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს, დიდ **სტალინს**!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. კ. დელბა**



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **შ. ე. მახარაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. ა. დავითაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები: (მარცხიდან მარჯვნივ) დეპუტატები: ს. გ. ბაზანდარაშვილი, ლ. პ. ბერია, მ. მ. გვიშიანი, ვ. ი. ეგნატაშვილი, (უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი), ვ. მ. მაზნიაშვილი, გ. ე. ნარსია, ფ. ო. ოკუჯავა, ქვევით (მარცხნიდან მარჯვნივ) დეპუტატები: გ. ნ. საჯაია, ი. ვ. ტიულენევი, კ. ნ. ჩარკვიანი, შ. ი. ბანუშვილი, ვ. ი. ხუბაევი, ი. ა. ჯავახიშვილი, ა. ვ. ჯორბენაძე.

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

8 ივლისის სხდომის ღიერი

8 ივლისს, საღამოს 7 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია.

დეპუტატ ამხ. **მ. ი. ჯაშის** წინადადებით, სესიას ხსნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესი დეპუტატი ამხ. **ფ. ი. მახარაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ამხ. **იოსებ დიმიტრის-ძე კოკლამაზაშვილი;** თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული არიან ამხ. **ნივრესტ რევაზის-ასული შაშიკაშვილი** და ამხ. **გიორგი გუჯაბ-ძე ჯგუბურია.**

დეპუტატ ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანის** წინადადებით, თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ცაგერისა და ლაგოდეხის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ შემდეგი დღის წესრიგი მიიღო:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.
3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანა იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილია კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ძიერ, აგრეთვე ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ.
4. დეპუტატთა ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებასთან.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა:
ა) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა.
ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებისა.
გ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნისა,
დ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა.
6. საქართველოს სსრ მთავრობის — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შედგენა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს.**

სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს პირველი სხდომა იხურება.**

9 ივლისის სხდომის ღიერი

9 ივლისს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ი. დ. კოკლამაზაშვილი** სესიის მეორე სხდომას გახსნილად აცხადებს.

სესია ერთსულოვანი ხმისმიცემით ადგენს აირჩიოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია ცხრა დეპუტატის შემადგენლობით. სესია კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩევს დეპუტატს **რაფიელ არტემის-ძე კვირკველიას.**

სესია ღებულობს დადგენილებას, არჩეულ იქნას საბიუჯეტო კომისია 11 კაცის შემადგენლობით.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა დეპუტატი **მიხეილ მაქსიმეს-ძე გვიშიანი.**

ყურადღებით, დიდის ინტერესით მოისმინეს დეპუტატებმა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ **მაკარი ივანეს-ძე ჯაშის** მოხსენება.

იგი ლაპარაკობს სესიის პირველ სხდომაზე არჩეული სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ. მოჰყავს ციფრები დეპუტატთა სოციალური შემადგენლობის შესახებ, კონკრეტული მაგალითებით უჩვენებს ნამდვილი სახალხო პარლამენტის სახეს.

იგი ლაპარაკობს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

ხმისმიცემაში მონაწილეობის მიმღებ ამომრჩეველთა 99,7 პროცენტმა ხმა მისცა უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ქართველმა ხალხმა უდიდესი სიხარულითა და სიამაყით აირია თავის პირველ დეპუტატად ხალხთა დიდი ბელადი მშობლიური სტალინი.

ჰქუხს მგზნებარე ოვაციი. ყველმხრიდან გაისმის აღფრთოვანებული მისასალმებელი შეძახილები. **„ურა!“, „გაუმარჯოს საყვარელ სტალინს!“, „ვაშა მშობლიურ სტალინს!“, „სალამი ჩვენს პირველ დეპუტატს!“.**

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო სიტყვა ეძლევა დეპუტატს, პროფესორ **ნ. ნ. კეცხოველს.** მასშემოაქვს წინადადება დამტკიცებულ იქნას სამანდატო კომისიის მოხსენება და დამოავრებულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა.

სესია ერთხმად ღებულობს ამხ. კეცხოველის წინადადებას.

ამით მთავრდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მეორე სხდომა.

○

9 ივლისის საღამოს სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მოისმინა დეპუტატ **ვ. ი. ეგნატაშვილის** მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილია კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ, აგრეთვე საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **მ. კ. დელბა, ვ. ნ. მაზნაშვილი, ვ. გ. დეკანოზოვი.**

კამათის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ღებულობს დადგენილებას საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის დამატებისა და შევსების შესახებ.

9 ივლისის საღამოს სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას მიესალმა ქალ. თბილისის მშრომელთა — ქ. თბილისის საწარმოების სტახანოველთა და ინტელიგენციის დელეგაცია, რომლის სახელით გამოვიდნენ **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ამხანაგი **ვ. ა. ქაფიანიძე** და პროფ. **ა. კ. ხარაძე**

სესიას მიესალმა აგრეთვე აჭარის ასსრ მშრომელთა დელეგაცია, რომლის სახელით გამოვიდა **მუშა-სტახანოველი** ამხ. **ე. ე. ფეიქრიშვილი.**

მშრომელთა დელეგაციების წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ სესიის საღამოს სხდომა იხურება.

10 ივლისის სხდომის ღიერი

10 ივლისს დილის 11 საათზე იხსნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. **ი. დ. კოკლამაზაშვილი.**

დღის წესრიგის მეოთხე პუნქტის შესახებ — დეპუტატებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რაც დაკავშირებულია დეპუტატის მოვალეობათა შესრულებასთან, სიტყვა ეძლევა დეპუტატს **გ. სტურუას.**

მას შეაქვს წინადადება, რათა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის დაწესდეს დეპუტატის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება 500 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის პერიოდში ღიერის ანაზღაურება ფულად 75 მანეთის რაოდენობით და შემოღებულ იქნას მუდმივი ბილეთები საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა რკინიგზითა და წყლის გზებით მგზავრობისათვის.

მეოთხე პუნქტად ამხ. გ. სტურუა წინადადებას იძლევა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ იქნას, რათა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებაში წლიურად გაიცეს 100 ათასი მანეთი დეპუტატებთან ურთიერთობის ხარჯებისა და წარმომადგენლობისათვის.

სესია ამ წინადადებებს ერთხმად ამტკიცებს.

ამხ. **ი. დ. კოკლამაზაშვილი** აცხადებს, რომ სესიაზე მოვიდა სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დელეგაცია.

მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. **ა. გ. გასიევს.**

უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილა დღის წესრიგის შემდეგი პუნქტი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.

თვითეული კანდიდატისათვის პერსონალურად კენჭისყრით სესია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არჩევს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

1. ფილიპე იესეს-ძე მახარაძე, დეპუტატი ჩოხატაურის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები

2. მიხეილ კონსტანტინეს-ძე დელბა, დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ტამიშის საარჩევნო ოლქისაგან.

3. დაუთ ალის-ძე დავითაძე, დეპუტატი აჭარის ასსრ ხულოს საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

4. ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი, დეპუტატი გორის რაიონის შინდისის საარჩევნო ოლქისაგან.

5. სოფიო გიორგის-ასული გაზანდარაშვილი, დეპუტატი გორის რაიონის გორი—სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

6. ლავრენტი პავლეს - ძე ბერია, დეპუტატი ქალ. თბილისის „პრავდის“ სახელობის საარჩევნო ოლქისაგან.

7. მიხეილ მაქსიმეს-ძე გვიშიანი, დეპუტატი ქალ. თბილისის ენგელსი—საარჩევნო ოლქისაგან.

8. ივანე ალექსანდრეს - ძე ჯავახიშვილი, დეპუტატი ქალ. თბილისის სტუდენტთა საარჩევნო ოლქისაგან.

9. ანტონ ვასილის-ძე ჯორბენაძე, დეპუტატი გურჯაანის რაიონის გურჯაანის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

10. ვლადიმერ მიხეილის-ძე მაზნიაშვილი, დეპუტატი სილნაღის რაიონის ზემო-მაჩხაანის საარჩევნო ოლქისაგან.

11. გრიგოლ იესეს-ძე ნარსია, დეპუტატი ქუთაისის რაიონის ნახშირღელის საარჩევნო ოლქისაგან.

12. შუშანიკ ოჰანეზის-ასული ოკუესიანი, დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ბარალეთის საარჩევნო ოლქისაგან.

13. გური ნიკოლოზის-ძე საჯაია, დეპუტატი ზუგდიდის რაიონის დარჩელის საარჩევნო ოლქისაგან.

14. ივანე ვლადიმერის-ძე ტიულენევი, დეპუტატი ქალ. თბილისის წითელი არმიის საარჩევნო ოლქისაგან.

15. ვლადიმერ ივანეს-ძე ხუბაევი, დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

16. კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი, დეპუტატი ცაგერის რაიონის ცაგერის საარჩევნო ოლქისაგან.

17. შოთა ილარიონის-ძე ბანუშვილი, დეპუტატი ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქისაგან.

სხდომის თავმჯდომარე ამხ. **ი. დ. კოკლამაზაშვილი** დეპუტატებს უკითხავს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. ბაქრაძისაგან მის სახელზე მიღებულ განცხადებას, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სთხოვს მას აცნობოს დეპუტატებს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-50 მუხლის შესაბამისად და იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის შედგენის საკითხი დასმულია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განსახილველად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო თავის მოვალეობებს ამოწურულად სთვლის და იხსნის რწმენებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

კამათში საქართველოს სსრ მთავრობის შედგენის საკითხზე პირველი გამოვიდა დეპუტატი **კ. ნ. ჩარკვიანი.**

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან ამხ. ჩარკვიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთსულოვანი ნდობით არის გამსჭვალული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსადმი.

ამხ. **ჩარკვიანს** შეაქვს წინადადება, დაეკალოს **ვ. მ. ბაქრაძეს** წარუდგენოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს თავისი წინადადებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

შემდეგ დეპუტატი **კ. ნ. ჩარკვიანი** გამოსთქვამს მთელ რიგ მკაცრ კრიტიკულ შენიშვნებს საქართველოს განსახკომისა და მისი ხელმძღვანელის ამხ. ბურჭულაძის მუშაობის შესახებ.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ამხ. **ი. ნ. შამუგიამ,** პროფესორმა **კ. დ. ერისთავმა, გ. ი. კიკნაძემ, რ. ა. კვირკველიამ** მთლიანად დაუჭირეს მხარი დეპუტატ **კ. ნ. ჩარკვიანის** წინადადებას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსათვის სრული ნდობის გამოცხადების შესახებ.

ამხ. **შამუგიამ, ერისთავმა, კიკნაძემ** და **კვირკველიამ** ბოლშევიკური კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარეს საქართველოს სსრ ჯანსახკომისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობა.

დეპუტატ **ა. ვ. ჯორბენაძის** წინადადებით, უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას, რომელშიც ნდობას უცხადებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ავალებს **ვ. მ. ბაქრაძეს** წარმოადგინოს თავისი წინადადებანი მთავრობის შემადგენლობის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღოს კამათის დროს დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები.

ამით მთავრდება სესიის დილის სხდომა.

მოგონება

ვალერიან გაფრინდაშვილი

მე კარგად მახსოვს ლაჟვარდის ფერი,
მე მახსოვს მხოლოდ მზის შუქი წმინდა.
და არჩევნებზე მე ახლაც ვმღერი —
მათ ელვარებით ვისუნთქო მინდა.

მახსოვს ქუჩებში ხალხის დინება,
ზღვა დროშებისა, ხიბვთა ალერსი,
ვულში გრძნობათა ამბინება,
როგორც სიმე უმწვერვალესი.

აქ ხმის მიცემა იყო ნამდვილი
დიადი განცდის ღრმა აღსარება.
ხალხი მღეროდა ვით ავთანდილი,
და მისცემოდა მეტ ნეტარებას-

აი, ხმას აძლევს ჩვენი ბერია,
დაუვიწყარი არის ეს წუთი,
ჰაერი ირგვლივ ოქროსფერია
და საარჩევნო ამაღლდა ყუთი.

იმას უჭირავს ხელში ბარათი,
ისე ვით არწივს ცეცხლი მზიური.
წინ მიგვიძღვება იგი მარადის—
ჩვენი მესაჭე ყოველდღიური.

მე თრთოლვით იმას ვუცქერდი მაშინ,
ვისაც, მივყავართ სტალინურ გზნებით,
ვინც დაიტია თავის მძლავრ ხმაში
მთელ საქართველოს მჭუხარე ხმები.

ვინც გამოხატავს ჩვენს ურყევ ძალას,
ბელადისადმი ჩვენს ერთგულებას,
ვინაც აშენებს სოჭელს და ქალაქს
ღა ქმნის ვმირობის ახალ თქმულებას!

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

11 ივლისის სხდომის დღიური

11 ივლისს შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მეხუთე სხდომა.

სესიამ განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შედგენის საკითხი.

დეპუტატ ვ. მ. ბაქრაძეს უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა.

ვ. მ. ბაქრაძე თავის სიტყვაში იძლევა პასუხს დეპუტატთა იმ შენიშვნებზე, რომლებიც გაკეთებულ იქნა წინა სხდომაზე კამათში საქართველოს სსრ მთავრობის შექმნის საკითხის ირგვლივ.

პერსონალური კენჭისყრით უმაღლესი საბჭო ჰქმნის საქართველოს სსრ მთავრობას—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგ შემადგენლობას:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ვლადიმერ გიორგის-ძე **დეკანოზიშვილი.**

გიორგი თედორეს-ძე სტურუა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე

კონსტანტინე მიხეილის-ძე თარგამაძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

სერგო არსენის-ძე გოგლიძე.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარი

ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზიშვილი.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი

ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძე.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი

ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი

სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია.

ფინანსთა სახალხო კომისარი

კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე.

ვაჭრობის სახალხო კომისარი

სერგო მიხეილის-ძე დონაძე.

იუსტიციის სახალხო კომისარი

ათანასე ლევანის-ძე ჩხეტიანი.

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი

ონისიმე გერმანეს-ძე თოდაძე.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი

გიორგი მიხეილის-ძე გორდეზიანი.

განათლების სახალხო კომისარი

გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე.

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი

ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ლოლაძე.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი

გიორგი ივანეს-ძე ელისაბედაშვილი.

დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული

ამბროსი მიხეილის-ძე ჭოლოკავა.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული

იაკობ ზოსიმეს-ძე მონიავა.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული

რაფიელ სიმონის-ძე ელიგულაშვილი.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი

ბენიამინ ვასილის-ძე გოგუა.

უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოვიდნენ აფხაზეთის ასსრ-ის მშრომელთა და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა დელეგაციები.

აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დელეგაციის სახელით გამოდის ამხ. **ხ. ს. ბგაჟბა,** თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა დელეგაციის სახელით — მე-34 სკოლის პიონერი—ფრიადოსანი **თამარ მანგაძე.**

ამხ. ბგაჟბას არაერთხელ აწყვეტინებდა მისასალმებელ სიტყვას მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციებით. დეპუტატები მხურვალე ტაშს უკრავენ იმას, ვისაც მიჰყავს ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, იმას, ვისაც ხოტბას ასხამს თავის სიმღერებში ხალხი, იმას, ვინც მისცა საბჭოთა ქვეყნის ხალხებს ბედნიერი სასიხარულო ცხოვრება—საყვარელ **სტალინს.**

დარბაზში გაისმის შეძახილები:

„გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!"

„გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელს და ბელადს, დიდ სტალინს!" ურა!", „ვაშა!"

სესიის დღისწესრიგი ამოწურულია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ი. დ. კოჭლამაზაშვილი** აცხადებს, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხზე უმაღლესმა საბჭომ გადაწყვეტილებები მიიღო ერთხმად, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას დახურულად აცხადებს.

დარბაზში ახალი ძალით გრიალებს მქუხარე ოვაცია. დარბაზის ყოველი კუთხიდან მოისმის მისასალმებელი შეძახილები: **„გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენ ბელადს საყვარელ სტალინს!", „სალამი საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელს ამხანაგ ლ. ბერიასს!", „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!", „გაუმარჯოს დიდ სტალინს!"**

სონეტები

ჰაინრიხ ჰაინე

ჩემ დედას ბ ჰაინეს ფონ-ველდერნის ასულს

1

ჩვეულებად მაქვს ვიყო ლაღი და ნებიერი,
ჩემი გონებაც უდრეკია, მტკიცე ვით რვალი,
წარბს ვერ შემიხრის, ვერ შემიკრთობს წამწამებს თვალის,
თვითონ მეფემ რომ შემომხედოს მედიდურ ცქერით.

მაგრამ შენს ახლოს, ო, დედილო, ჩემი იერი,
ვაბრწყინვებული სიდიადის უშრეტი ალით,
რაგინდ არ იყოს ნებიერი და ქედმაღალი,
მყის იმოსება მოკრძალების ნაზი მთიებით.

ჩემი მპყრობელი ეს მაღალი სულია შენი,
ტკბილ-მშობლიური სიყვარულის სხივის მომფენი,
ის მე მამაღლებს უკვდავებით გაბრწყინვებული.

ო, ჩემო დედა, მოგონება მაწვალებს მარად,
რომ ხშირად სევდით შენი გული მე გამიბზარავს,
ჩემთვის ესოდენ საყვარელი, ძვირფასი გული!

2

ერთხელ დაგტოვე, შემომენთო გულ სევდის ალი,
გზას დავადექი, რომ მომეცლო ქვეყანა ვრცელი.
მსურდა მეპოვნა სიყვარული, ნუგეშის მგვრელი
და ჩავხვევოდი უსპეტაკეს გრძნობებით მთვრალი.

ბევრი ვეხეტე, ქუჩებს შორის ვაცეცე თვალი,
ყოველ კარის წინ დიდხანს ვიდეგ გაწვდილი ხელით,
ვით მოწყალების — სიყვარულის ვიყავ მთხოველი,
მაგრამ დაცინვა ვპოვე ყველგან ყალბი, საზარი.

და ასე ქვეყნად დავეძებდი სიყვარულს მარად,
მაგრამ ვერ ვპოვე, შავი სევდის ნისლმა დამფარა
და შინ დავბრუნდი მწუხარებით გულგაბზარული.

შენ შემხვდი, დედავ, სიხარულით მთლად მოცახცახე,
და შენს თვალებში, ო, ძვირფასო, მე დავინახე,
რასაც ვეძებდი: — სასოება და სიყვარული!

ფეიქრები

მათ გამშრალ თვალებს მძიმე სევდის ატყვია დაღი,
საქსოვ დაზგასთან სხედან ზიზღით აღსავსე სახით.
„ო, გერმანიავ, კუბოსათვის გიქსოვთ სუდარას,
შიგ ვაქსოვთ სამმაგ წყევლა-კრულვას და რისხვას მზარავს!

ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!

კერპი, რომელსაც თაყვანს ვცემდთ — იყვეს წყეული!
ჩვენ, ზამთრის სუსხით გათოშილნი და დამშეული
ვითმენდით ჩაგვრას და ამაოდ ველოდით შველას,
მან კი დაგვცინა, გაგვაბრიყვა და ვაგვახელა!

ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!

წყეულიმც იყოს თვითონ მეფე — ქვეყნის მფლობელი,
არ ვებრალებთ, გულქვა არის და ულმობელი.
ის უკანასკნელ გროშებს გვტაცებს, აღსავსე რისხვით
და ძაღლებივით გვანადგურებს, ვერ ძღება სისხლით.

ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!

წყეულიმც იყოს ის ქვეყანა — ყალბი, ცბიერი,
უმსგავსოება სადაც მეფობს სვე-ბედნიერი,
სადაც ყვავილი მყისვე ჭკნება გაუფურჩქვნელი
და ჭია-ღუას კი ახარებს ჭაობი ბნელი!

ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!"

დაფრინავს მაქო დხ საქსოვი დაზგა ზრიალებს,
„ჩვენ ვქსოვთ დღე და ღამ, აოარ ახსოვთ ძილი ჩვენს თვალებს.
ო, გერმანიავ, კუბოსათვის ვიქსოვთ სუდარას,
შიგ ვაქსოვთ სამმაგ წყევლა-კრულვას და რისხვას მზარავს.
ჩვენ ვქსოვთ, ჩვენ ვქსოვთ!"

თარგმნილი გერმანულიდან **ხარიტონ ვარდოშვილისა.**

საბჭოთა მწერლებმა აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი სესხზე

მწერალთა კავშირის და ლიტ. და საგამომცემლო ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა კამპანია მესამე ხუთწლედის სესხზე ხელის მოსაწერად.

მწერალთა საზოგადოებრიობა და ლიტორგანიზაციების თანამშრომლები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვებას.

დღემდე სესხზე ხელი მოაწერეს მწერალთა კავშირში 10.100 მანეთზე, მწერალთა კავშირის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში — 11.490 მანეთზე, საუდში—4.080 მანეთზე, ლიტფონდში—16.140 მანეთზე, გამომცემლობა „ფედერაციაში" — 18.100 მანეთზე.

სესხზე ხელისმოწერა გრძელდება.

ალექსეი ჭოლსტოი ქართველ მწერლებისადმი

6-დან 12 ივლისამდე ტფილისში იმყოფებოდა ცნობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრმა მოიწვია ამ თეატრში მისი ახალი პიესის დადგმასთან დაკავშირებული საკითხების მოსაწესრიგებლად.

მწერალმა დაათვალიერა ჩვენი დედა-ქალაქი, მისი მიდამოები, ესტუმრა ჩვენს მუზეუმებს და ზოგიერთ კულტურულ დაწესებულებას.

10 ივლისს მწერალთა კავშირმა მოაწყო საბჭოთა მწერლებისა და მკითხველი საზოგადოების შეხვედრა ტოლსტოისთან. შეხვედრა გახსნა შალვა დადიანმა, რომელიც მთელი ქართველი საბჭოთა მწერლობის სახელით მიესალმა სტუმარს, როგორც საბჭოთა რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს.

ალექსეი ტოლსტოის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ სიტყვით გამოვიდა ბ. ჟღენტი, რომელმაც დაახასიათა მისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედება. ორატორი ლაპარაკობს იმ სიახლეზე, რომელიც ტოლსტოიმ შეიტანა საბჭოთა ლიტერატურაში. ტოლსტოი არის საბჭოთა ისტორიული რომანის დიდი წარმომადგენელი. ა. ტოლსტოი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი წამყვანი პროზაიკოსია, რომელმაც თავისი შემოქმედების ძირითად თემად გახადა ჩვენი ახალი ეპოქა. ამავე დროს ტოლსტოი არის ძრავალი შესანიშნავი დრამატიული ნაწარმოებისა და კინო-ფილმის სცენარების ავტორი. ეხლახან მან დასწერა პიესა „14 სახელმწიფოს ლაშქრობა", რომელიც აგვისახავს რუსეთის მშრომელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას ინტერვენტ-დამპყრობელთა წინააღმდეგ და გვიხატავს დიდი ბელადების **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელ როლს. მასების გმირობას სამოქალაქო ომების მეტად დაძაბულ პერიოდში. ამჟამად ალექსეი ტოლსტოი სწერს სცენარს კინო-ფილმისათვის სერგო ორჯონიკიძეზე.

მას ეკუთვნის ინიციატივა დაიწეროს საბჭოთა ხალხების ლიტერატურის ისტორია. ტფილისში მისი ჩამოსვლის ერთერთი მიზანი ის არის, რომ მოაწესრიგოს ამ სახელმძღვანელოს შედგენაში ქართველი საბჭოთა მწერლების მონაწილეობის საკითხი.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. რ. ქორქიამ, რომელმაც საზოგადოებას გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები ტოლსტოის ახალი მოთხრობა „პურზე", რომელიც მან სთარგმნა ქართველი მკითხველებისათვის.

ალექსეი ტოლსტოის ადრინდელ შემოქმედებაზე და მის მხატვრულ განვითარებაზე მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ვალ. გიფრინდაშვილმა.

რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. აკ. ვასაძემ ილაპარაკა ტოლსტოის ახალ პიესაზე „14 სახელმწიფოს ლაშქრობა" და იმ ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტასაც მოითხოვს ამ მაღალმხატვრული ნაწარმოების სცენიური განსახიერება.

მეტად საგულისხმო და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ალექსეი ტოლსტოიმ. პირველად იგი შეეხო საბჭოთა ხალხების ლიტერატურის ისტორიის შედგენის საკითხს. წინასწარი გეგმით, გათვალისწინებულია ამ სახელმძღვანელოში ქართული ლიტერატურის ისტორიას დათმოს თვალსაჩინო ადგილი, რადგან ალექსეი ტოლსტოის აზრით, ქართული მწერლობის იდეურ-მხატვრული ღირებულება სცილდება ეროვნულ ფარგლებს და მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ყველა ეროვნების ახალგაზრდობისათვის. მწერალი იმედს გამოსთქვამს, რომ ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ძალები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სახელმძღვანელოს შედგენაში.

შემდეგ მწერალმა ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურის ამოცანებზე.

ალ. ტოლსტოიმ გააცნო დამსწრეთ აგრეთვე თავისი შთაბეჭდილებანი ევროპულ ქვეყნებში მოგზაურობიდან. რევოლუციური ესპანეთის გამოკლებით,—ამბობს იგი,—ყველგან ევროპის კონტინენტზე მძიმე შეხუთული ატმოსფეროაა ლიტერატურის განვითარებისათვის. მწერლობა მეტად დაკნინებულია. უკანასკნელ დრომდე იგი უტრიალებს ძველის ძველ თემას, ზედმეტი ადამიანის თემას, რომელიც განიცდის აუტანელ სულიერ სიცალიერეს და ვერ პოულობს გამოსავალს იდეურ-მორალურ ჩიხიდან. ამ ვითარებაში იშვიათ გაშონაკლის წარმოადგენენ როლანი, ხიმიგუეი, მარლო არაგონი და სხვ. რომლებიც მტკიცედ დგანან მუშათა კლასის პოზიციებზე და ზოგი მათგანი აქტიურ უშუალო მონაწილეობას იღებს ესპანეთის მშრომელი ხალხის დიდ განმანთავისუფლებელ ძოძრაობაში.

ტოლსტოი ლაპარაკობს იმ დიდ ინტერესზე, რომელსაც ევროპელი მკითხველი იჩენს საბჭოთა კავშირისადმი.

დასასრულ ალექსეი ტოლსტოიმ წაიკითხა სცენები თავისი ახალი პიესიდან „14 სახელმწიფოს ლაშქრობა". ნამდვილი მხატვრულ ოსტატობით წაკითხულ სამი სცენის ძოსმენითაც კი ნათელი გახდა, როგორი ტოლსტოის ახალი პიესა თავისი მდიდარი ენით, შესანიშნავი დიალოგებით, ხასიათების და ტიპაჟის ძრავალფეროვნებით ძძაფრი დრამატიული სიტუაციებით წარმოადგენს საბჭოთა დრამატურგიის ერთერთ უდიდეს გამარჯვებას.

საზოგადოება ტოლსტოის და მის ახალ პიესას ძქუხარე ტაშისცემით შეხვდა.

O

11 ივლისს გაიმართა საქმიანი თათბირი ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენის საკითხებზე. ალექსეი ტოლსტოიმ თათბირის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო თუ როგორი უნდა იყოს ეს სახელმძღვანელი. სახელმძღვანელოს რუსული განყოფილების შედგენაში უმთავრესად მწერლები მონაწილეობენ, რადგან ჩვენი მიზანია სახელმძღვანელო დაიწეროს მხატვრულად მკითხველებისა და მოწაფე ახალგაზრდობისათვის გასაგები ენით.

ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ფონზე მოცემული უნდა იქნეს ყველა ხალხის მთელი ლიტერატურა დასაბამიდან უკანასკნელ დრომდე ისე, რომ წარმოდგენილი იქნეს ის განუწყვეტელი კავშირი, რომელიც არსებობს ლიტერატურის განვითარებასა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარების შორის. განზრახულია ქართული ლიტერატურას დაეთმოს უმნიშვნელოვანესი ადგილი, რადგან ქართული ლიტერატურა იმ ერთ-ერთი ლიტერატურათაგანია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიო ლიტერატურულ მოძრაობასთან. მაგალითად მე-12 საუკუნის ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც არსებობს საშუალო საუკუნეების ლიტერატურისა და ნაადრევ რენესანს შორის. ალექსეი ტოლსტოი საეჭვოდ სცნობს, რომ მწერალთა კავშირმა ამ თვითვე გადაუვას პრაქტიკული ნაბიჯი ამ საქმის გარშემო იმ ძალების დასარაზმად, რომელთაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურის ისტორიის შედგენაში. საერთო გეგმა და მეთოდოლოგიური პრინციპები უკვე შემუშავებულია და საქართველოს მწერალთა კავშირს ეს მასალები პირველ მოთხოვნისთანავე გამოეგზავნება.

თათბირმა მიიღო ალ. ტოლსტოის წინადადება, რომ ამ საქმის თანამონაწილეობა და ხელმძღვანელობა თავს იდვას მწერალთა კავშირმა, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გამომიმუშავოს პრაქტიკული ღონისძიებები, გაგზავნოს კავშირი სახელმძღვანელოს შემდგენელ ჯგუფთან და გამომცემლობასთან იმ ვარაუდით, რომ მთელი მასალა სახელმძღვანელოს ქართული ნაწილისათვის მზად იქნეს სექტემბრისათვის. ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცემა განზრახულია ამა წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

პოეტური თარგმანის საკითხისათვის*

კონსტანტინე ჟიჟინაძე

ქართულ მხატვრულ თარგმანს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ყველაზე ძველი მოზრდილი მხატვრული თარგმანი, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, არის „ვისრამიანი". ეს ნაწარმოები მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე ითვლებოდა და დღესაც ითვლება ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშად. ლექსით თარგმანებს ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ აღორძინების პერიოდიდან. მე-17 - 18 საუკუნეებში მრავალი ირანული პოემა ითარგმნა ქართულად. უნდა ითქვას, რომ ეს თარგმანები, ზოგიერთი გამონაკოლისის გარდა, მაღალი ღირსების არ არიან, როგორც დედანთან სიახლოვის, ისე ქართული ენისა და ვერსიფიკაციის თვალსაზრისით.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო რუსეთს დაუკავშირდა, რადიკალურად შეიცვალა ჩვენში აგრეთვე ლიტერატურული ორიენტაციაც: თანდათან ჩაქრა საკმაოდ მობეზრებული ირანული პოეზიის მოტივები და წარმოიშვა რუსული, ესე იგი ევროპული მწერლობის ზეგავლენა. ახალი შინაარსისათვის საჭირო იყო ახალი ფორმა. აღსანიშნავია, რომ გაევროპულებულმა ქართულმა პოეზიამ ბევრად უფრო ადვილად შეითვისა ახალი შინაარსი, ვიდრე, ახალი ფორმა.

მთელი მეცხრამეტე საუკუნე გრძელდებოდა ჩვენში ბრძოლა ამ ახალი ფორმის დაუფლებისათვის, მაგრამ საკმაოდ დამაკმაყოფილებელი შედეგი მაინც ვერ იქნა მიღწეული. დაირღვა ძველი ქართული ლექსის მუსიკალობა. უმთავრესად რითმას შეეტყო დაკოჭლება. დაიკარგა რუსთველის, გურამიშვილისა და ბესიკის რითმათა სრულხმოვანება. ამ სრულხმოვანების დაცვა არც ძველად იყო ადვილი, მისი მიღწევა ხდებოდა ხშირად სხვადასხვა აკრობატული ხერხის წყალობით: ორი ან სამი სიტყვის ერთმანეთზე მიკერებით, კანონიერი ეტიმოლოგიური ფორმების დარღვევით, აზრობრივი დაშორიშორებით და სხვ.

რეალისტური ევროპული პოეზია კი ამგვარ ხერხებს არ ითმენდა: იგი მოითხოვდა, რომ სარითმო სიტყვებიც ისეთივე ბუნებრივი ფორმისანი ყოფილიყვნენ ლექსში და ისევე საჭირონი აზრობრივად, როგორც დანარჩენები. მეცხრამეტე საუკუნის ქართველმა პოეტებმა დაკმაყოფილეს ევროპული ლექსის ეს დიდად მნიშვნელოვანი მოთხოვნილება, მაგრამ ამავე დროს ვეღარ შესძლეს რითმათა სრულხმოვანებაც დაეცვათ.

ამ გარემოებამ შესამჩნევად იმოქმედა რუსი და ევროპელი პოეტების თარგმნაზე ქართულად გასულ საუკუნეში. ჩვენს პოეტებს დიაღაც სურდათ ეთარგმნათ ბაირონის, პუშკინისა და ლერმონტოვის მაღალხარისხოვანი პოეტური ქმნილებანი, მაგრამ ყოველი მათი ცდა ამ მიმართულებით მარცხით თავდებოდა, რასაც თითონვე კარგად ხედავდნენ. მართლაც არა თუ პოემა პატარა რითმიანი ლექსიც კი არ თარგმნილა ქართულ ენაზე გასულ საუკუნეში სრულიად დამაკმაყოფილებლად. ამის მიზეზი იყო არა შინაარსის, არამედ ფორმის დაუძლეველობა, რაც ნათლად ემჩნეოდა აღნიშნულ თარგმანებს: მათში კარგად არის გარკვეული და გადმოღებული სათარგმნი მასალის აზრობრივი მხარე, მაგრამ გაფორმებულია იგი სუსტად.

გასულ საუკუნეს არ გადმოუცია ჩვენთვის არც ერთი მაღალხარისხოვანი პოეტური თარგმანი, გარდა მაჩაბლის მიერ თარგმნილი, შექსპირის ტრაგედიებისა, მაგრამ შექსპირის ლექსი ურითმოა.

ქართულ რითმიან თარგმანს მთელი რიგი ისეთი სიძნელეები ახლავს თან, რომელთა დაძლევა გასული საუკუნის ჩვენმა საუკეთესო პოეტებმაც კი ვერ შესძლეს. საჭიროა ამ სიძნელეთა გათვალისწინება, რათა ისინი მხედველობაში გვქონდეს, როდესაც თანამედროვე თარგმანების კონკრეტულ მასალას ვიხილავთ. ყველაზე ნათლად ეს სიძნელე მაშინ გამოჩნდება, თუ ქართულ რითმიან ლექსს რუსულს შევადარებთ.

ქართულად შესაძლებელია სამგვარი რითმა: ერთმარცვლოვანი, ორმარცვლოვანი და სამმარცვლოვანი. ქართული ერთმარცვლოვანი რითმისათვის გამოსადეგია მხოლოდ ერთმარცვლოვანი სიტყვა. ასეთი რითმების რიცხვი ჩვენს ენაში მეტად მცირეა — სულ 20 - 30 თუ იქნება, თანაც ისინი არ უდგებიან ჩვენს ძირითად სალექსო მეტრებს—ოთხმარცვლოვანს, ათმარცვლოვანსა და თოთხმეტმარცვლოვან ლექსებს. რუსულ ენაში კი ერთმარცვლოვანი რითმათა მარაგი მეტად დიდია—არანაკლებ 10 - 15 ათასი სიტყვისა. თანაც ეს სიტყვები სხვადასხვა ზომისანი არიან, ზოლოდ მახვილი უნდა ჰქონდეს მათ უკანასკნელ მარცვალზე, ერთმარცვლოვანი რითმა რუსულ ვერსიფიკაციაში გამოსადეგია ყველა ძირითად მეტრში. ორმარცვლოვანი რითმისათვის საჭირო სიტყვების რიცხვი საკმაოდ დიდია ქართულ ენაში, მაგრამ რუსული ენა ამ შემთხვევაშიც ბევრად უფრო მდიდარია ქართულზე, თანაც ქართული ორმარცვლოვანი რითმისათვის მხოლოდ ორმარცვლოვანი სიტყვებია გამოსადეგი, რუსულისათვის კი—ყოველი სიტყვა, რომელსაც მახვილი მეორე მარცვალზე აქვს ბოლოდან. სამგიერად სამმარცვლოვანი სარითმო სიტყვებით ქართული ენა გაჯილებით უფრო მდიდარია რუსულზე. მაგრამ სამმარცვლოვან რითმას ერთი დიდი ნაკლი აქვს, რომელიც განსაკუთრებით თარგმანში მეღავნდება: იგი დიდი მოცულობისაა, მისთვის გამოსადეგია მხოლოდ სამმარცვლოვანი, ოთხმარცვლოვანი და ხუთმარცვლოვანი სიტყვები. ასეთი სარითმო სიტყვა იშვიათ სტრიქონის მესამედს, ზოგჯერ კი ხახვარს, რის შემდეგ საკმაო ადგილი აღარა რჩება სათარგმნელი ფრაზის სრული შინაარსის გადმოსაცემად. მაშინ იწყება ქართველი მთარგმნელის მიკიბულ - მოკიბული მეტყველება, გრამატიკული ნორმების დარღვევა და დეფინის დამახინჯება ან. უკეთეს შემთხვევაში, გამარტივება. ორიგინალურ შემოქმედებაზე რითმის სიძნელე ამდენად არ მოქმედებს, როდგან იქ ავტორი სხვისაგან დამოკიდებული არ არის, იგი თავის ნებაზე შლის და ანვითარებს ლექსის შინაარს.

ამით აიხსნება, რომ თითქმის ყველა ქართველი პოეტი, როგორც ძველი, ისე ახალი, თავის რითმიან ლექსს უკეთა სწერს, ვიდრე სთარგმნის. რუსულ მწერლობაში კი ასე არ არის. ჩვენ ვიცით, მაგალითად რომ ჟუკოვსკი თარგმანს უკეთ ასრულებდა, ვიდრე თავის ლექსებსა სწერდა. პუშკინმა და ლერმონტოვმა რამდენიმე ლექსი ისე შესანიშნავად სთარგმნეს, რომ თავიანთი დიდი ოსტატობის სიმაღლეზე აიყვანეს მათი ფორმა. ბრიუსოვის მიერ თარგმნილი ვერჰარნის ლექსები უეჭველად მაღლა სდგანან თვით ბრიუსოვის ლექსებზე, არა მარტო შინაარსობრივი სიმდიდრით, არამედ პოეტური ოსტატობის მხრივაც.

ცნობილ პოეტებს რომ თავი დავანებოთ, რუსეთში იყვნენ და არიან ისეთი პროფესიონალი მთარგმნელები, რომლებიც თავიანთი ოსტატობით ხშირად განცვიფრებასაც კი იწვევენ. მაგალითად ბაირონის პოემები და ლექსები გასულ საუკუნეში ითარგმნა რუსულად უმეტეს შემთხვევაში პროფესიონალი მთარგმნელების მიერ სავსებით წესიერად რუსული ენისა და ლექსის თვალსაზრისით. ზოგიერთი ამ თარგმანთაგანი იშვიათია თავისი ბრწყინვალე ფორმით. მაგალითად, თავისთავად უმნიშვნელო პოეტის მაზურკევიჩის მიერ თარგმნილი პოემა „ძახება" ასე იწყება:

В полтавской битве прежней славой
Покинут был державный швед;
Недвижно, грудою кровавой
Легли товарищи побед.

ეს თარგმანი მთლიანად შესრულებულია ასეთი შესანიშნავი ლექსით, რომელიც პუშკინის ლექსისაგან არაფრით განირჩევა. ჩვენს ეპოქაშიც თითქმის სრულიად უცნობმა პირმა გლუშკოვმა (ოლერონმა) სთარგმნა ერედიას სახელგანთქმული სონეტები ბრწყინვალედ.

ჩვენში კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თითქმის ყოველი პოეტი, დიდი იქნება ის თუ პატარა, რითმიან ლექსს თავისას უკეთ სწერს, ვიდრე სთარგმნის. ეს გარემოება აიხსნება ნაწილობრივად ზემოდ გათვალისწინებული ქართული რითმიანი ლექსის სიძნელეებით, ნაწილობრივად კი სხვა მიზეზებით, რომელთა შესახებ ქვემოდ გვექნება საუბარი.

რაც შეეხება ქართულ ურითმო ლექსს, იგი შედარებით ადვილი დასაძლევია, თუ, რა თქმა უნდა თარგმნელმა კარგად იცის ქართული ენა და აქვს მდიდარი ლექსიკა და შეუძლიან სიტყვების მუსიკალური შეწყობა. ტექნიკურად ქართული ურითმო ლექსი უფრო ნაკლებ სიძნელეებს შეიცავს, ვიდრე რუსული, ვინაიდან პირველი მხოლოდ მარცვალთა რაოდენობას ეშყარება, მეორე კი დამოკიდებულია, მარცვალთა რიცხვის გარდა, მახვილების განწესრიგებაზედაც.

მეცხრამეტე საუკუნეში დაწყებული ბრძოლა სრულხმოვანი რითმის აღდგენისათვის ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში დასრულდა გამარჯვებით. ეს გამარჯვება განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში გახდა თვალსაჩინო. ამ გამარჯვებას თითქოს დიდად უნდა წაეწია წინ ქართული პოეტური თარგმანის საქმე. შეიქმნა საუკეთესო ხელის შემწყობი პირობები ამ საქმის წარმატებისათვის. **ლენინ-სტალინის** პარტიის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის წყალობით ქართველ ხალხს შესაძლებლობა მიეცა თავისი სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე აწარმოოს. ამ გარემოებამ გამოიწვია უცხო კლასიკური მწერლობის ქართულად თარგმნის დიდი მოთხოვნილება. მატერიალური პირობებიც კარგი შეიქმნა ჩვენში თარგმანზე მუშაობისათვის. ყოველივე ამას უნდა გამოეწვია მხატვრული თარგმანის როგორც რიცხობრივი სიმრავლე, ისე ღირსობრივი წარმატებაც. რაოდენობის მხრით უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნათარგმნი ლიტერატურა რამდენჯერმე აღემატება მთელი მეცხრამეტე საუკუნის თარგმანებს. ხარისხის დონე კი, უნდა გადაჭრით ითქვას, ხშირად დამაკმაყოფილებელი არ არის. მართალია, ჩვენს დროს შეიქმნა ზოგიერთი ისეთი კარგი პოეტური თარგმანი, რომელიც მე-19 საუკუნეში, ტექნიკური სიძნელეების გამო, ვერ შეიქმნებოდა, მაგრამ ამავე დროს მივიღეთ ბევრი სუსტი თარგმანიც. ხშირად ამ თარგმანებში ქართული პოეტური მეტყველება დამახინჯებულია.

აქ ჩვენ უშუალოდ მივადექით ენის საკითხს. ენის სიწმინდე საერთოდ აუცილებელი პირობა უხდა იყოს ყოველი ლიტერატურული ქმნილებისათვის. ენის სიწმინდის საკითხი არა სდგას მწვავედ ისეთი ხალხების ლიტერატურაში, რომელთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მთელი რიგი საუკუნეები გრძელდება შეუწყვეტლად. როდესაც, მაგალითად, რუსი, ფრანგი ან ინგლისელი ლიტერატურული ენის სიწმინდეს მოითხოვს, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარ პურიტანულ განწყობილებასთან, ზოგჯერ გადაჭარბებულ სიმკაცრესთანაც კი. ჩვენში კი სულ სხვა მდგომარეობაა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში მოპოვა საქართველომ სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მანამდის ჩვენი ქვეყანა საუკუნეზე მეტ ხანს ჩვეულებრივ თვითმპყრობელურ რუსეთის გუბერნიებად იყო ქცეული. სახელმწიფო დაწესებულებიდან ქართული ენა გაძევებული იყო, ხოლო სკოლებში იგი მეხუთე გაკვეთილის სალაზღანდარო საგანს წარმოადგენდა. ამგვარი უახლოესი წარსულის პირობებში ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდეზე ლაპარაკი ნიშნავს არა პურიზმს, არამედ ჩვეულებრივი ლექსიკისა და ელემენტარული გრამატიკული წესების გამოსარჩლებას.

ქართული ენა არის ჩაყენებული ერთ კალაპოტში, ყოველ შემთხვევაში, მისი ჯვბირები მეტად სუსტია. ამიტომ პოეტურ თარგმანში, როდესაც ამ ჯვბირებს დაეწვება სიძნელეები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ქართული ლექსის გარშემო მსჯელობის დროს, ეს ჯვბირები უმეტეს შემთხვევაში დწოლას ვერ უძლებენ, მოიღლეევინან და თვალწინ გადაიშლება საკვირველი არევ-დარევის სურათი.

ჩვენი თარგმანების სისუსტე აიხსნება ნაწილობრივად აგრეთვე შემდეგი მიზეზითაც. თარგმანები სრულდება მთელ რიგ შემთხვევაში განსაზღვრულ თარიღებთან (მწერალთა იუბილეებთან) დაკავშირებით, ნაჩქარევად. საიუბილეო პერიოდში ნაჩქარევად შესრულებული თარგმანი რამდენიმე წელიწადი კიდევ განგრძობს ინერციით არსებობას ჩვენს მწერლობაში. ზოგიერთი მათგანი მეორედ და მესამედაც იცემა ხოლმე. ამგვარი გათანაბრება და განუკითხაობა იწვევს მთარგმნელთა წრეებში ერთგვარ უპასუხისმგებლობას.

ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ მთელი რიგი მიზეზები, რითაც თანამედროვე ქართული მხატვრული თარგმანის სისუსტე აიხსნება. ამ მ

შემოქმედებითი წინსვლის გზით

სანდრო ეულის „ლექსების და პოემების“ წიგნის გამო

სანდრო ეული ეკუთვნის პროლეტარული პოეზიის რევოლუციამდელ თაობას, რომელიც ჩვენი პირველი თაობის სახელით არის ცნობილი. ამ თაობამ თავისი ლიტერატურული შემოქმედებით თვალსაჩინო დადებითი როლი შეასრულა რევოლუციის წინა პერიოდში მასების რევოლუციურ განწყობილებათა გამოხატვით. აღნიშნულ მწერალთა შემოქმედებას მით უფრო რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რეაქციის შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მისტიციზმმა, ყალბმა რომანტიკამ და სიმბოლიზმის ყველაზე მახინჯმა ფორმამ. მათში კი კვლავ ცოცხლობდა მომავლის იმედი, რევოლუციური რწმენა, ისინი დაკავშირებული ყველაზე იყვნენ პროლეტარიატის ყველაზე უფრო რევოლუციურ ნაწილთან და ცდილობდნენ გამოეხატათ მისი სულიერი მისწრაფებანი.

სანდრო ეულმა ბოლომდე შეინარჩუნა ძველი რევოლუციური პათოსი და ღრმა რწმენა, დაჯერება. ის კვლავინდებურად ერთგულად ემსახურება რევოლუციას, მას არ იპყრობს „იჯვები“, მას სწამს, რომ „ყოველი წამი გმირობაა ჩვენი დღეების, ყოველი წუთი ბრძოლის ცეცხლში გვიკაჟებს გულებს“. ასე გადმოგვცემს პოეტი თავის რწმენას:

„არ შემაწუხებს
„გული იქეთა თავშესაფარი,“
როგორც იმ პოეტს,
სახუგეშოს რომ ვერსად ხედავს,
რომელსაც ოხვრით
აუვსია ირგვლივ მთა-ბარი
და „თქმა სიმღერის
ეპოქისთვის“ ვერ გაუბედავს.
დღესაც მე გულით
იმედების დამაქვს ხანძარი,
დღესაც დარაჯად
მე ვუდგევარ რევოლუციას.
რა შეიჩერებს, რაც
ოქტომბრის მეხით დავძარით,
რაც თავგანწირულ
ბრძოლებით ჩვენ გამოგვიცდია!
ყოველი წამი
გმირობაა ჩვენი დღეების,
ყოველი წუთი
ბრძოლის ცეცხლში გვიკაჟებს
გულებს“.
(„ახალი ლექსი“).

ასეთივე მაღალი რწმენითა და რევოლუციური პათოსით არის დაწერილი მისი ავტობიოგრაფიული ლექსები, სიმღერები ბედნიერებაზე და ლექსები, რომლებიც გამოყოფილია წიგნში ცალკე განყოფილებად: „ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი“, „ძმობის დროშა“, „ბრძოლით ვიწოდეთ“. დასახელებულ ლექსებიდან მხატვრული დამუშავებით, ლირიკული განცდებითა და უშუალობით გამოირჩევა ლექსები: „შავი ოქროს ქალაქი“, „სიმღერა ბედნიერებაზე“ და სხვ. ეს ლექსები გვიჩვენებენ პოეტის აუცილებელ შემოქმედებით პოეტურ ზრდას.

პოეტური განცდის უშუალობით აქვს ს. ეულს დაწერილი ლექსი „ილიას საფლავთან“ და „მაქსიმ გორკის ხსოვნას“. აქ პოეტი უდაოდ აღწევს ჩვენი ხალხის განცდების პოეტურ ვანზოგადებას.

პოეტის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან თავისი შემოქმედების უკანასკნელ წლებში თავი დააღწია თემატიკურ ერთფეროვნებას, გაფართოვა შემოქმედებითი არე სიუჟეტური ლექსებით და პოემებით.

სარეცენზიო წიგნში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს პოემებს. პოემის სუბიექტური აღსაგობა ასეთია: **სტალინის** მამის დაზგასთან პოეტს აეშლება ფიქრები წარსულზე. შემდეგ გადმოცემულია **სტალინის** ბავშვობის დროის ოცნება. აქედან — გადასვლა ნამდვილ გმირობაზე, მასების სათავეში ჩადგომა ბურჟუაზიამემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად. **სტალინი** — რევოლუციური მასების ხელმძღვანელი, **ლენინისა** და **სტალინის** ურთიერთობა, რევოლუცია, **ლენინის** გარდაცვალება, ბოლოს, პოეტების თათბირი კრემლში **სტალინთან.**

როგორც ჰხედავთ, თემა მეტად ფართოდ არის მოფიქრებული. ის ძირითადად ისტორიულ რეალურ ამბებზეა აგებული, მაგრამ შიგ მრავლად არის შეტანილი პოეტის საკუთარი „ფანტაზია“.

სანდრო ეულის შემოქმედებას ზოგიერთი ნაკლიც ახასიათებს, მათგან მთავარი ისაა, რომ პოეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მხატვრულ სახეებსა და შედარებებს. ხშირად იგრძნობა თავისივე ძველი ლექსების ლექსიკონის გავლენა, რაც თანამედროვე თემაზე დაწერილ ლექსებში ანელებს ესთეტიურ ძალასა და ემოციურ ზემოქმედებას. ყოველ ახალ ეპოქას თავისი ახალი თემა და ახალი სიტყვიერი მასალა აქვს, რომელთა გათვალისწინების გარეშე ვერ შექმნის ვერც ერთი პოეტი ეპოქისათვის შესატყვის მხატვრულ ნაწარმოებს. ამ პოეტურ გამოთქმებს, რომლებსაც რევოლუციის წინა პერიოდში და სამოქალაქო ომის წლებში შეეძლოთ ერთგვარი ძალით ემოქმედათ მკითხველზე, აღარა აქვთ ისეთივე ემოციური ძალა საამური და ბედნიერი ცხოვრების ეპოქაში. მაგალითისათვის შეგვიძლიან დავასახელოთ „ცეცხლი“, „ქარიშხალი“, და სხვა. ამასთან ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა პოეტს ჭარბად „ეპარება“ პრიმიტივიზმი. იგი ამბავს, „განწყობილებას“ გადმოგვცემს უბრალო სალაპარაკო ფორმით.

წიგნს ბოლოში დართული აქვს ს. ეულის მიერ შესრულებული პუშკინის, ნეკრასოვის, ლიბკნეხტის და სხვათა ლექსების თარგმნები. ამ ლექსებში უფრო მეტი სისადავე და მხატვრულობა მოსჩანს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სანდრო ეულის უკანასკნელი ლექსები, პოეტის აუცილებელი შემოქმედებითი წინსვლის მაჩვენებელია.

ე. ასტვაცატურიანი

მეცხვარე — ნახ. ნ. თამამშევისა

ივანე მაჩაბელი

(მოგონება)

ბრძოლა ილ. ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბელს შორის თითქო მინელდაო და ამ უკანასკნელმა სათავადაზნაურო ბანკს, ამ ბრძოლის ერთ-ერთ მიზეზს, საბოლოოდ დაანება თავი. ივ. მაჩაბელი ტფილისს მოშორდა, გორის მაზრის მეურნეთა „სინდიკატს“ ჩაუდგა სათავეში და თავისებური სისწრაფით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით წაიყვანა ნაკისრები საქმე.

სამწუხაროდ, ივანე მაჩაბელი 1897 წელს ავად ხდება პლევრიტით. ამავე წლის 15 ივნისს იმდროის ცნობილი ხირურგი ვოინო ოპერაციას უკეთებს, ერთ ნეკნის ძვალს გაუჭრის და გულმკერდის ღრუში დაგროვილ ბალღამს გარეთ სადინელ გზას მისცემს ფილთას საშუალებით. ვალ. გუნიას „ცნობის ფურცელში“ ერთი თვის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე იბეჭდებოდა ავადმყოფის მდგომარეობის ამბავი. ივ. მაჩაბელი სიკვდილს გადაურჩა, მოკეთდა, მაგრამ ზაბოლოოდ მორჩენას ბევრი უკლდა. ავადმყოფობა 1898 წელსაც, კარგა ხანს ლოგინი ლესა. კიდევ მოიკეთა და საბოლოოდ ლონის მოსაკრებად გადასწყვიტა ოჯახობით აბასთუმანში გაეტარებინა 1898 წლის ზაფხული. ქალაქიდან გასვლა პირველ ივლისისათვის იყო დანიშნული.

ამ პერიოდში შექსპირის თარგმნას დასტრიალებდა თავს. ლოგინიდან ახლად წამომდგარი, ფერმკრთალი 24 ივნისს ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში შედის და სტოვებს დასაბეჭდად შექსპირის ტრაგედიის „კორიოლანოს“ თარგმანის ხელნაწერს, რომელიც ჟურნალის იმავე წლის მე-8, მე-9 და მე-10 ნომრებში იბეჭდება, ივ. მაჩაბლის დაკარგვის შემდეგ.

ივ. მაჩაბელი მეტად კარგ გუნებაზეა, ავადმყოფობისაგან შეწელებული ჩვეულებრივი სიმკვირცხლე უბრუნდება, უხარია აბასთუმანში გამგზავრება, ამდენი ავადმყოფობის შემდეგ ძალლონის დაბრუნება და მუშაობისათვის გაორკეცებული ენეგრიით შედგომა.

25-ს საღამოს ოკაკი აწვევა სტუმრად. მისი ოხუნჯობა უფრო ამხიარულებს იქაურობას. ივახშმებენ, ნარდს ითამაშებენ და საათის ორზე მოსასვენებლად წავლენ-წამოვლენ. ფიქრად არავის მოსდის, თუ რა საშინელი ტრაგედია უნდა წარუძღვეს 26 ივნისის გათენებას

„თ. ივ. მაჩაბელი გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, თითქმის 4 საათზე, გამოვიდა თავის სახლიდან და აღარსადა სჩანს. სახლში დაუტოვებია პორტმანე, საათი და ოქროსვე ღილები პერანგის მაჯებისა. ერთი სიტყვით, არავითარი ძვირფასი ნივთი თან არ წაუტანია. ამ ამბავმა მომეტებულად ააღელვა მისი ოჯახობა და მაშინვე დაუწყეს ყოველი მხრით ძებნა. აგერ მესამე დღე გადის და კიდევ ვერ უპოვნიათ.

„ლაპარაკობენ, რომ ვითომ ზოგიერთ ნაცნობებს ენახოს თავადი მაჩაბელი 9 საათზე დილით სახაზინო თეატრთან და 10 საათზე — ფრეილინის ქუჩაზე, მაგრამ ნამდვილი არავინ იცის.

„ამ უკანასკნელ დროს თავადი მაჩაბელი ძალიან კარგადა გრძნობდა თავის თავს. ავადმყოფობა სრულებით არ აწუხებდა. 1-ლ ივლისს იგი უნდა გამგზავრებულიყო ოჯახობით აბასთუმანში საზაფხულოდ.

„შინაობაში სრულებით არაეთარი საწყენი არ შეხვედრია რა, მხიარულად იყო, წინა ღამეს აკაკი წერეთელი იყო მასთან და სრულებით არავითარი შეწუხება არ ეტყობოდა სახეზეო.

„გორის სინდიკატის საქმეს მხნედ მოეკიდა და მუშაობდაო. ყველასათვის სრულებით გაუგებარია, თუ რამ აიძულა თავადი მაჩაბელი ასე დაიმალოს სადმე და თავის მოყვარულ ოჯახობას, მცირედიც არის, ცნობა არ დაუგდოს თუ სად წავიდა.

„ეძებენ ყოველგან, და როგორც კი რასმე ვევიტყობთ, ჩვენც ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს“.

ამის შემდეგ იწყება თავგადადებული ძებნა დაკარგულისა. ძებნაში მონაწილეობას იღებს როგორც ადმინისტრაცია, ისე მთელი ქართველი საზოგადოება. მენავეებსა და მეთევზეებს ერთი მტკაველი არ დაუტოვებიათ მტკვრის ფსკერისა, რომ გულმოდგინეთ არ გაეჩხრიკათ, ვე-



ლის 5 საათზე უნახავს ივანე მაჩაბლის სახლიდან ახლომდებარე საგურესაკენ მიმავალი: თავშიშველი, აშფოთებული, ნახევრად ჩაუცმელი და (იფიქრეთ: საგურეს ქუჩაში ჩასავარდნად და თავის მოსასპობად).

მესამე დღეს, კვირას, 28 ივნისს, ვალერიან გუნიას გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 570) ივანე მაჩაბლის შესახებ შემდეგ, ჩემ მიერ მოწოდებულ, ცნობას ათავსებს.

„თ. ივ. მაჩაბელი გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, თითქმის 4 საათზე, გამოვიდა თავის სახლიდან და აღარსადა სჩანს. სახლში დაუტოვებია პორტმანე, საათი და ოქროსვე ღილები პერანგის მაჯებისა. ერთი სიტყვით, არავითარი ძვირფასი ნივთი თან არ წაუტანია. ამ ამბავმა მომეტებულად ააღელვა მისი ოჯახობა და მაშინვე დაუწყეს ყოველი მხრით ძებნა. აგერ მესამე დღე გადის და კიდევ ვერ უპოვნიათ.

„ლაპარაკობენ, რომ ვითომ ზოგიერთ ნაცნობებს ენახოს თავადი მაჩაბელი 9 საათზე დილით სახაზინო თეატრთან და 10 საათზე — ფრეილინის ქუჩაზე, მაგრამ ნამდვილი არავინ იცის.

„ამ უკანასკნელ დროს თავადი მაჩაბელი ძალიან კარგადა გრძნობდა თავის თავს. ავადმყოფობა სრულებით არ აწუხებდა. 1-ლ ივლისს იგი უნდა გამგზავრებულიყო ოჯახობით აბასთუმანში საზაფხულოდ.

„შინაობაში სრულებით არაეთარი საწყენი არ შეხვედრია რა, მხიარულად იყო, წინა ღამეს აკაკი წერეთელი იყო მასთან და სრულებით არავითარი შეწუხება არ ეტყობოდა სახეზეო.

„გორის სინდიკატის საქმეს მხნედ მოეკიდა და მუშაობდაო. ყველასათვის სრულებით გაუგებარია, თუ რამ აიძულა თავადი მაჩაბელი ასე დაიმალოს სადმე და თავის მოყვარულ ოჯახობას, მცირედიც არის, ცნობა არ დაუგდოს თუ სად წავიდა.

„ეძებენ ყოველგან, და როგორც კი რასმე ვევიტყობთ, ჩვენც ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს“.

ამის შემდეგ იწყება თავგადადებული ძებნა დაკარგულისა. ძებნაში მონაწილეობას იღებს როგორც ადმინისტრაცია, ისე მთელი ქართველი საზოგადოება. მენავეებსა და მეთევზეებს ერთი მტკაველი არ დაუტოვებიათ მტკვრის ფსკერისა, რომ გულმოდგინეთ არ გაეჩხრიკათ, ვერის ხიდიდან ყარაიამდე. თვრამეტი დამხრჩვალის გვამი აღმოაჩინეს, მაგრამ მათ შორის ივ. მაჩაბლის გვამი არ აღმოჩნდა.

უნახავთ ივ. მაჩაბელი მცხეთაში. გავრცელდა ხმა მისი წასვლისა ამერიკაში, საქართველოდან აყრილ და კანადაში დასახლებულ დუხობორებთან, რომელნიც თურმე დიდიხანია ეპატიჟებოდნენ ივ. მაჩაბელს თავისთან თავიანთ მეთაურად, როგორც მცოდნეს რუსულისა და ინგლისურისას. სასამართლოს არხანგელსკისაკენ მდებარე რაღაც მამათა მონასტრიდან ვითომ წერილიც მოუვიდა და ვიღაც ატყობინებდა ივ. მაჩაბლის ყოფნას მონასტრის თაბუნში... ყველა ამ ხმას საშინელი მისტიფიკაციის სუნი უდიოდა და თვით ძიება საქმისა უხამს ხასიათს ღებულობდა.

პოლიცია - სასამართლომ ბევრი იძია, ბევრი იკვლია, მაგრამ სწორედ საინტერესო მომენტამდე რომ მიეიდა და ადამიანს ეგონა — ეს არის გვეშველა, დახლართული კვანძი უნდა გაიხსნასო, სწორედ ამ საინტერესო მომენტში წყდება გამოძიება. საქმეში ჩაერევა ვიღაცის გავლენიანი ხელი, თითქო ვისიმე ინტერესი მოითხოვს: „დავადოთ საცო პირსა ჩვენსა“.

როგორც ვსთქვით, მერკვილაძე იყო ერთად-ერთი ადამიანი, რომელსაც 26 ივნისს დილით ყველაზე ადრე ენახა ივანე მაჩაბელი, საგურისაკენ მიმავალი. მერკვილაძის ინფორმაცია, სამწუხაროდ, ამას იქით არ მიდიოდა. რაც ენახა, ბევრს უთხრა და ბევრს გაუზიარა თავისი ეჭვიანობა. საზოგადოებაც ძალაუნებურად ჯერდება მისგან მოწოდებულ მწირ ცნობას.

გაიარა დრომა და ხანმა. საზოგადოებამ მოიგლოვა ასეთი დიდი კაცის დაკარგვა.

მას შემდეგ განვლო 37 წელმა. ცნობილი ბუკინისტი სოსიკო მერკვილაძე, რამდენსმე წლის განმავლობაში ლეგენდარული ფიგურა — უკანასკნელ დღეში იყო. ამ და ამას ველი მეგობრობა გვაერთიანებდა. სიკვდილის ერთი კვირით ადრე თავის მეუღლისათვის, პატივცემულ ანასათვის, დაევალებინა ვენახნე და ეთხოვა სახლში მივსულიყავ სანახავად. 3 დღის განმავლობაში მეძებდა თურმე, სანამ მიპოვნიდა და გადმომცემდა მომაკვდავის უკანასკნელ სურვილს. მაშინათვე გავსწიე წილკნის ქუჩისაკენ, სადაც ცხოვრობდა სოსიკო მერკვილაძე, თან წინდაწინვე განვიცდიდი სიამოვნებას: ალბათ, მძიმე რამ საიდუმლო უნდა მითხრას, ისეთი, რომელშაც შეიძლება ფარდა ახადოს ასე საოცდავად დაღუპვას იმისთანა დიდი ადამიანისას, როგორიც ივანე მაჩაბელი იყო-მეთქი, მაგრამ ბედმა მიღალატა: პირველი სამი დღის განმავლობაში შეიძლება რამე წამოსცდენოდა, გამდობოდა, ერთგვარი აღსარება ეთქვა, გაემეღავნებინა ჩემთვის, როგორც ივ. მაჩაბლის მახლობელისა და ერთგულისათვის, საიდუმლო, რომელიც მას მთელი თავისი სიცოცხლე, თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში, უნდა ეფიქროთ, ჰქეჯნიდა, არ ასვენებდა, ჰგვემავდა...

მივესალმე. მოვიკითხე.

— სამი დღეა მოუთმენლად გელი, შე კაი კაცო, შენი ნახვა მიდა, შენი პოვნა კი ისე გაჭირდა, შე დალოცვილო!—მისაყვედურა ავადმყოფმა.

ბოდიში მოვიხადე.

— აჰა, გავიგე თუ არა, მოვედიმეთქი.

ეგ იყო და ეგ. შეიკრა პირი, თითქო ტყვია ჩაიდულაო. თვალები ძირს დახარა. მე მაინც ვუყურებ, აი, ეხლა იტყვის რასმე, აი ეხლა-მეთქი. სრული ერთი საათი გავატარეთ ამ გაჯიბრებულ დუმილში. ერთი საათი — ერთი საუკუნის სადარი.

მეტი ვეღარ გავუძელ ამ მდგომარეობას. ვეღარ გავუძელ მის სულიერ ბრძოლას, მშვიდობით-მეთქი, მშვიდობითო. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა, მეტი არაფერი.

ამის შემდეგ ერთმა კვირამ განვლო, რომ სოსიკო მერკვილაძე გარდაიცვალა და, უნდა ვიფიქროთ, თან ჩაიტანა საფლავში თავისი საიდუმლო...

მაგრამ დღეს, ორმოცი წლის შემდეგ, როცა ივანე მაჩაბლის, ამ იშვიათი ადამიანის, მეგობარი თითქმის თითო-ოროლაა დარჩენილი, მე, ამ ტრაგედიის მოწმე, ივანე მაჩაბლის უსაზღვროდ პატივისმცემელი, მასთან და მის ოჯახთან დაახლოებული, განსაკუთრებით მის სიცოცხლის სამ უკანასკნელ წელიწადს, მე, როგორც ადამიანმა, რომელმაც ვიცოდი მისი შინაური მდგომარეობა, მაქვს უფლება საჯაროდ განვაცხადო შემდეგი: 1) ივ. მაჩაბელს თავის ხელით თავის სიცოცხლე არ მოუსპია. 2) ივ. მაჩაბელს თავი მტკვარში არ დაუხრჩვია, 3) გაძარცვის აზრით მასთან გარეშე არავინ შესულა და მისთვის ხელი არ უხლია და 4) ივანე მაჩაბელს მოწიაღმდეგე (ბანკის ნიადაგზე) ბევრი ჰყავდა, მაგრამ არც ერთი ისეთი, რომ მის წინააღმდეგ ხელი აღემართა და სასიკვდილოდ გაემეტებინა.

მაგრამ ასეა თუ ისე, ათასი რომ ვუტრიალოთ საგანს, ცხადი ერთია: შესრულებული ფაქტის წინაშე ვდგეკვართ, უდროოდ ხელიდან გამოგვეცალა ადამიანი, რომლის გული მთელი თვისისი არსებით სძგერდა თვისის ხალხის, თვისის ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ადამიანი, სავსებით მომზადებული, აღუჭურვილი ნიჭით, შეგნებით ამ ქვეყნის სამსახურისათვის, ადამიანი, რომელმაც ბევრი გაკეთა და უმეტესის გაკეთება შეეძლო.

თედო სახოკია

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლისათვის *

გრ. გარამიძე

კლასიკოსების შესწავლის საქმეს ჩვენში უდიდესი ყურადღება ექცევა. კაცობრიობის პროგრესისათვის მებრძოლ მწერლებსა და მოღვაწეებს ახლოეთ მშრომელი ხალხი და მშრომელთა ხელისუფლება აფასებენ ღირსეულად. კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების ლენინურ-სტალინური მოძღვრება ჩვენს მეცნიერებას ჭეტად დიდსა და საპასუხისმგებლო ამოცანებს უსახავს.

ალფრთოვანებული პარტიისა და ხელისუფლების იმ დიდი ყურადღებით და დახმარებით, რომელითაც სარგებლობს ჩვენი მეცნიერების ყოველი მუშაკი, მრავალი მკვლევარი ცდილობს თავისი წვლილი შეტანოს ამ დიდ ამოცანის გადაწყვეტაში. იცემა მრავალი დიდმდე უცნობი ნაწერი კლასიკოსებისა, იწერება გამოკვლევები თითოეული მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რათა ალდგენილ იქნას ამა თუ იმ კლასიკოსის რეალური სახე, გარკვეულ იქნას მისი ადგილი.

3. ცინცაძის წიგნიც მე-19 საუკუნის ერთ-ერთ უდიდესი მოღვაწის — ილია ჭავჭავაძის სოც. ეკონომიური მრწამსისა და შემოქმედების განხილვის ცდას წარმოადგენს, ეს ცდა მისასალმებელია.

სკაბალ მოზრდილი სარეცენზიო წიგნი (17 ფორმა ზეიცავს ექვს გაბაოფიერებს. ეს ეს განყოფილებები: 1. შესავალი; 2. ჩვენი სამოციანი წლები და ილია ჭავჭავაძე; 3. ეროვნული საკითხი და ილია; 4. ილია და მსოფლიო პოლიტიკის საკითხები; 5. ილია ჭავჭავაძის პოეზია; 6. ილია ჭავჭავაძის ბელეტრისტული ნაწარმოებნი...

ზესავალში ავტორი ზოგადად აღნიშნავს ილიას მნიშვნელობასა და ადგილს ჩვენი ეროვნული ისტორიაში და განსაზღვრავს იმ ეპოქასაც, რომელითაც, ავტორის აზრით, შესწავლილ უნდა იქნას ილიას მემკვიდრეობა.

როცა ავტორს სურს გამოარკვიოს ილიას იდეური მემკვიდრეობის საფუძვლები, ასეთ საფუძველს იგი უმთავრესად ეძებს უცხოური იდეების გავლენაში. ავტორის მტკიცებით 60-იანი წლების რუსეთის მოღვაწეებს ილიაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ. პ. ცინცაძე გადაჭრით აცხადებს: „ჩერნიშევსკის გავლენა ილიას არ განუცდია... ილიას არას დროს არ გაუზიარებია სოციალიზმი და ჩერნიშევსკის ალსთა ბრძოლის საფუძველი, მისი ურჩეი დემოკრატიზმი და ლიბერალიზმის კრიტიკა“ (გვ. 30). „...ასევე უნდა ითქვას პასუხი ბელინსკისგან ილია, ცხადია, ჩოლიერ-პოლიტიკურ თვალსაზრისს ვერ მიიღებდა. პასარეკი იღებდა სოციალიზმს და რადიკალურად იყო განწყობილი. ილიას არც რადიკალიზმი და არც სოციალიზმი არ მიუღია“ (გვ. 31).

ასეთივე აზრს გამოსთქვამს ავტორი ვერ ცენზენსა და ილიას დამოკიდებულების შესახებ (გვ. 33).

ამრიგად, ავტორი თითქმის სრულიად უარჰყოფს რუსეთის სამოციანი წლების იდეურ მოძრაობის გავლენას ილია ჭავჭავაძეზე. აქ ავტორი თავისებურ სილოგიზმს აგებს: ჩერნიშევსკი, პასარეკი ღებულობდნენ სოციალიზმს, ილია არ ღებულობდა სოციალიზმს, მაშასადამე, ილიას არ განუცდია მათი გავლენა, მაგრამ, თუ ეს მსჯელობა ზედმეტია, მაშინ რა საბუთით ამტკიცებს ავტორი, რომ ილიაზე უპირველესად სტანკევიჩ-ბელინსკის შეხედულებებმა მოახდინეს გავლენა, გაბა ბელინსკი არ ღებულობდა სოციალიზმს? გაბა ბელინსკი არ იყო, რომ სწერდა ბოტკინს: „მე ახლა ახალ უკიდურესობაში ვიმყოფები, ეს არის სოციალიზმის იდეა, რომელიც გადაიქცა ჩემთვის იდეათა იდეად, ალსის ალსად, საკითხთა საკითხად, რწმენისა და ცოდნის ალფად და ომეგად. ყველაფერი მისგან, მისთვისა და მასში“.

სიერთოდ ავტორს იდეურ გავლენათა საკითხი არ ეშინის სწორედ. მისი აზრით, ეს არის შეხედულებათა სრული გადმოღება, თვით უმნიშვნელო დეტალებისაც-კი.

60-იანი წლების მოღვაწეები — ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, აკაკი თვით გადმოგვცემენ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთის მოღვაწეებს თერგდალეულთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში, ამის უარყოფა არავისთვის არ არის საჭირო. რუსეთის 60-იანი წლების მოღვაწეებს ყველაზე მეტად მიუდგება ილიას სიტყვები: „რუსული ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზე, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს ძმაურთულებას ზედ დაადჩნია შან თავიანა ავკარგიანობა... თვითეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილი, თვითეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით ალზრდილი, ალზრდილ ჩვენგანს მის გამნარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება“ (ი. ჭ. ტ. 3, გვ. 285).

ჯ. ცინცაძე ფიქრობს, რომ ილიის იდეური მემკვიდრეობის საფუძვლები უნდა ვეძიოთ დეკაბრისტებისა და ორმოციანელების ბელინსკ სტენკევიჩის შეხედულებებში (გვ. 36). ეს მეტად საინტერესო საკითხია, მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნში ეს არ არის საკმაოდ დასაბუთებული. ჯ. ცინცაძე სწერს: „ილია, ცხადია, თავისი ქვეყნის ბედის გამოსარკვევად რუსეთის მოძღვრობის (!) ისტორიას გაეცნობოდა და მისი გამოცდილებისა და თეორიული საფუძვლების გაცნობას შეეცდებოდა სტუდენტთა სხვადასხვა წრეებში ან საჯარო თეორიული მოხსენებებით, ცხადია, დაინტერესებული იქნებოდა და შეძლების და გვარად დაესწრებოდა მათ. აქ ილია გაეცნობოდა სხვადასხვა ეკონომიურ - პოლიტიკურ და სხვა თეორიებს... თუ კი ეს წრეები საზოგადოებრივი მაღალი მიზნების ძატარებელი იქნებოდნენ, ცხადია, ილიაზე მოახდენდნენ გავლენას“ (გვ. 28. ხაზი ჩვენ მიერ არის გასმული). ასეთი ზოგადი მსჯელობა, თუ მას რაიმე ურყევი საბუთი არ უძაგრებს ზურგს, ოდნავადაც არ არის ღამაჯერებელი.

ჯ. ცინცაძე ამ წიგნში აყენებს ერთ ახალ საკითხს, ოომელიც ძირითადია ამ წიგნისათვის. წიგნში განვითარებულია ის აზრი, რომ ილიამ თავიდანვე განიცადა სისმონდის გავლენა და ძოელი თავისი აზოოვნება სისმონდის მოძღვრების საფუძველზე ჰამოყალიბა. „ილიას მიერ ჩვენში ავტარიული საკითხს ზამოყენება, ეროვნული ძოელიანობის, კლასთა ბრძოლის უკუქცევის და საერთოდ მისი თვალსაზრისის იმ სახით ჩამოყალიბება, რასაც ის ამეღავნებს თავის სხვადასხვა ნაწერებში, არსებითად მარტოოდენ სისმონდის საფუძველზე იყო შესაძლებელი“ (გვ. 37), — გვარწმუნებს ავტორი.

რამდენად მართალია სისმონდის გავლენა ილიაზე და როგორ არის ეს დამტკიცებული სარეცენზიო წიგნში?.

ჯ. ცინცაძე თვით აღნიშნავს, რომ ილიას უშუალოდ ციტატები მოჰყავს არა სისმონდისაგან, არამედ ჯონ სტუარტ მილის პოლიტ. ეკონ. საფუძვლებიდან (გვ. 59). ილია სისმონდის ნაწერებს უშუალოდ არ იცნობდა. განა დასაშვებია ვიფიქროთ, რომ მილის ნიგნიდან ამოღებული ორიოდე ციტატა საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძის —ამ ეპოქალური მოვლენის—თეორიულ ა პრაქტიკულ მოღვაწეობას? განა უფრო ახლოს არ ვიქნებით სინამდვილესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ ილიამ ამ შემთხვევაში თავისი შეხედულებების დადასტურება ჰპოვა ამ ციტატაში და მიგვითითა მასზე ისეკე, როგორც სხვა შემთხვევაში სხვა მეცნიერთა აზრებზე ანა ერთხელ მიგვითითებს თავის შეხედულებათა გასამაგრებლად?

ჯ. ცინცაძეს ჰგონია, რაკი ილიამ სისმონდი ერთხელ სახელოვან მეცნიერად მოიხსენია, ამით შესაძლებელი ხდება ილიას გამოცხადება სისმონდის მოწაფედ (გვ. 83). ილია ევროპის ბევრ მეცნიერს იცნობდა, მათზე ხშირად მიგვითითებდა და მათ დამსახურებას ხოტბას ასხამდა, განა ილია მარქსს არ იცნობდა? განა მან მარქსს სახელოვანი მეცნიერი არ უწოდა? (ი. ჭ.—ტ. IX, გვ. 141). ილია თავის წერილში „მე--19 საუკუნე“ ამ საუკუნის სოც. მოძღვრებათა განვითარების შესახებ ამბავებს ცოდნის ამეფავნებს. ილია მე-19 საუკუნის დამსახურებას ამაში ხედავს, რომ მან ღარიბთა მოძღვრებას მეცნიერული საფუძველი დაუდგა და „გაუქმება ყოველგვარი კლასობრივი ბატონობისა წამოაყენა“ (ი. ჭ.—ტ. VI, გვ. 7). თავის დამოკიდებულებას ამ იდეისადმი ილია ასე გამოხატავს: „მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება ჯერ ბევრ სხვას კიდევ ძლევამოსილ მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მე-19 საუკუნის ანდერძზე უარეს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალსწინებს კაცობრიობას დღეის ამის იქით“ (ტ. VI, გვ. 8). აქ ილიას კაცობრიობის საბოლოო მიზნად მიაჩნია „გაუქმება ყოველგვარი კლასობრივი ბატონობისა“. მაგრამ, როგორც ყველა ამის გამო ილია მარქსის მოწაფედ არ შეიძლება გამოცხადდეს, ისე ორიოდე ციტატის გამო მისი სისმონდის მოწაფედ გამოცხადება უაზრობაა.

წერილბურჟუაზიული სოციალიზმის ცნობილი წარმომადგენელი სისმონდი წერილი საკუთრების თვალსაზრისზე იდგა. მისი მოძღვრების დედა-აზრი ის არის, რომ „შემოსავლის შემცირება პროპორციულია წარმოების ზრდისა“ (კ. მარქსი—„ფილოსოფიის სიღატაკე“, ქართ. გამოც., გვ. 71-72). აქედან გამომდინარეობს მისი თეორია წერილი წარმოების უპირატესობის შესახებ. ყველაფერი ეს სისმონდის მოძღვრებაში ერთ მიზანს ემსახურება — დაიცვას წერილი მესაკუთრე მსხვილი კაპიტალის შეტევისაგან.

ილიას წინაშე კი სულ სხვა საკითხი იდგა. მას აინტერესებდა უმიწაწყლო გლეხების მიწათმოწყობა (როგორ,—ეს სხვა საკითხია). მისი გლეხური კერძო საკუთრება მიმართული იყო ფეოდალური საკუთრების წინააღმდეგ და ამდენადვე იგი უდაოდ პროგრესიული იყო, სისმონდის და მის მსგავს მოაზრეებს კი, რომელთაც „სურთ წარმოების სწორ პროპორციულობას დაუბრუნდნენ“, მარქსი რეაქციონერებს ეძახის („ფილოსოფიის სიღატაკე“, გვ. 115).

სარეცენზიო წიგნში ხელოვნურად შერჩეული ციტატების დაპირისპირება ილიასა და სისმონდის შეხედულებათა ერთიანობის დასამტკიცებლად მიზნის ვერ აღწევს. ამისთვის ავტორს ხშირად საწინააღმდეგო აზრის მქონე ციტატები მოჰყავს. მაგ., წიგნში მოყვანილია სისმონდის სიტყვები: „ყველა წრომა, რომელზედაც დამოკიდებული ერის არსებობის საშუალებთა ზრდა, მთლიანად შეიძლება შესრულებულ იქმას მხოლოდ მიწათმოქმედთაგან“.

ციცაძე სძენს: „ილიაც სავსებით ამ აზრის არის: „სახელმწიფოს ჯერონნობთან გლეხი აცხოვრებსო“ (გვ. 62).

აქ სავსებით ერთი და იგივე აზრი არ არის. სისმონდის მხოლოდ მიწათმოქმედთა შრომა მიაჩნია ერის არსებობის სამუალებათა მზარდ ძალად, ილია კი გლეხურ შრომას, როგორც სახელმწიფოს საფუძველს, დროებითად სოფლის და ამბობს: ჯერ ხნობით აცხოვრებსო.

ილიას სიტყვები მოყვანილ ციტატაში დამახინჯებულია. ილია ამბობს: „სახელმწიფოს ჯერონნობით მაინც გლეხი აცხოვრებსო“ (ი. ჭ. — ტ. VI, გვ. 140). კონტექტში „მაინც“ კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ ილიას გლეხური მეურნეობა არ მიაჩნია სახელმწიფოს არსებობის ფუძეს საფუძვლად, როგორც ეს სისმონდის აქვს. ამიტომ ავტორის მტკიცება: „ილიასაც სავსებით სოფლის წერილი მეურნეობა მიაჩნდა, სისმონდის გვარად. ეროვნული ს

შეხვედრა რუსთაველის თეატრთან

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციამ მოაწყო შეხვედრა რუსთაველის თეატრის მუშაკებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს თეატრის მუშაკებმა, დრამატურგებმა, კრიტიკოსებმა და სხვებმა.

რუსთაველის თეატრის 1937-38 წლის სეზონის შედეგები და მომავალი სეზონის პერსპექტივები თათბირს გააცნო თეატრის ხელმძღვანელმა ამხ. **აკაკი ვასაძემ.**

— გასული სეზონი,—სთქვა ამხ. აკ. ვასაძემ,—აღსანიშნავი სეზონია რუსთაველის თეატრის მუშაობაში. თეატრის მთელი კოლექტივი გასულ სეზონში ბევრად უფრო ნაყოფიერად მუშაობდა, ვიდრე წინად. მტკიცედ დგას რა თავის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის გზაზე, თეატრს გარკვეული გზა აქვს აღებული იქითკენ, რომ მთელი სიღრმით და მოვალფეროვნებით ასახოს ჩვენი წარმტაცი სინამდვილე. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ჩვენი დრამატურგები, რომ ხელი შეუწყოს ისეთი რეპერტუარის შექმნას, რომელიც დააკმაყოფილებს საბჭოთა მაყურებლის მოთხოვნილებას.

გასულ წელს თეატრმა გაადიდა პრემიერების რიცხვი. გასულ წელს პირველი შემთხვევა იყო უკანასკნელი წლის მანძილზე როცა თეატრმა მაყურებელს ოთხი ახალი წარმოდგენა უჩვენა. საზოგადოება დიდის მოწონებით და კმაყოფილებით შეხვდა ოთხივე დადგმას. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვა შალვა დადიანის პიესამ „ნაპერწკლიდან“. ნ. შიუკაშვილის დრამის „სულელის“ განახლებულმა დადგმამაც მიიზიდა ჩვენი მაყურებელი. გ. მდივნის პიესა „სამშობლო“ მიუხედავათ მისი სისუსტისა, მაინც საკმაო ინტერესს იწვევს, რადგან იგი ეხება მეტად აქტუალურ თემასაბჭოთა პატრიოტიზმს. სპექტაკლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი რაოდენობის გამრავლების შეხებით წელს პირველად სეზონი დავასრულეთ ისე, რომ პირნათლად შევასრულეთ დავალება, რომელიც მაყურებლის წინაშე ვიკისრეთ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მომავალი სეზონის პერსპექტივებს და ამბობს, რომ თეატრს გადაწყვეტილი აქვს გაადიდოს პრემიერების რიცხვი. მომავალი სეზონის რეპერტუარში უკვე შეტანილია ს. შანშიაშვილის „ფოლადჯური“ ს. მთვარაძის „მთაგრეხილზე“, ნ. შიუკაშვილის „მზე შინა და მზე გარეთა“, პაგოდინის „კაცი თოფით“, ა. ტოლსტოის „14 სახელმწიფოს ლაშქრობა“, ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“ და სხვა. თეატრი უკვე შეუდგა მუშაობას ზოგიერთი პიესის მოსამზადებლად. მომავალ სეზონშიაც ჩვენი ამოცანაა—უფრო მაღლა ავსწიოთ სპექტაკლის ხარისხი. ამ მიზნით ჩვენი თეატრის სცენაზე სამუშაოდ მოვიწვიეთ ჩვენი თეატრალური კულტურის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორიც არის დამსახურებული მსახიობი ნინო ჩხეიძე. მისი მონაწილეობით დაიდგმება ჩვენში მეტად პოპულიარული ოსტროვსკის კლასიკური პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“.

ჩვენი თეატრის შემდგომი შემოქმედებითი წარმატების ერთ-ერთ პირობად ჩვენ მიგვაჩნია მჭიდრო კავშირის დამყარება მწერალთა საზოგადოებრიობასთან, რომელმაც უფრო აქტიური და საქმიანი მონაწილეობა უნდა მიიღოს რუსთაველის თეატრის მხატვრულ ზრდაში. თეატრის მუშაკთა . და მწერალთა აქტივის საერთო ლონისძიებებით უნდა გამომუშავდეს მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობის ფორმები.

ამხ. აკ. ვასაძის შინაარსიან და საინტერესო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: დ. ჯანელიძემ, ს. მანშიაშვილმა, ი. გრიშაშვილმა, ლ. ასათიანმა, ს. კლდიაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ს. ეულმა, ბერძენიშვილმა და ბ. ჟღენტმა. აღნიშნეს რა თეატრის დიდი წინსვლა გასულ სეზონში, ძვირლებმა გააკრიტიკეს უმთავრესად მისი ორი სპექტაკლი: „სულელი“ და „სამშობლო“, რომლებიც არ გამოდგნენ მაღალი ხარისხისა, რაც აიხსნება არა თეატრის კოლექტივის სუსტი მუშაობით, არამედ თვით პიესების ორგანიული ნაკლით. ორივე ეს პიესა სუსტია, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, და ძალიან მცირე მასალას აძლევს მსახიობს და რეჟისორს დიდი ამაღელვებელი სპექტაკლის შესაქმნელად. ეს ნაწარმოებები ავტორებს რომ წინასწარ მწერალთა წრეში წაეკითხათ, შესაძლებელი გახდებოდა ბევრი იმ ლიტერატურული ნაკლის აცილება, რომელიც რელიეფურად გამომჟღავნდა მათი დადგმის შემდეგ. დრამატურგთა და მწერალთა მთელი კოლექტივის აზრითაა—დაეხმარონ პიესების ავტორებს მათ ნაწარმოებთა იდეურ—მხატვრული ხარისხის ამაღლებაში. ამ მიზნით უნდა ჩდებოდეს პიესის როგორც პირვანდელი, ისე შემდგომი ვარიანტების განხილვა მწერალთა წრეში. გარდა ამისა, მწერლობა მონაწილეობას უნდა იღებდეს იმ მუშაობაში, რომელსაც თეატრი პიესის დასადგმელად ეწევა. მწერლები უნდა ესწრებოდნენ და თავიანთ აზრს გამოსთქვამდნენ სპექტაკლის შესახებ მანამდე, სანამ იგი საჯაროდ გამოტანილი იქნება, რაც აუცილებლად ასწევს სპექტაკლის ხარისხს.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. აკ. ვასაძემ, გაიზიარა რა ეს მოსაზრებები, აღუთქვა დამსწრეთ, რომ მიიღებს ყოველგვარ ზომებს თეატრის კოლექტივსა და მწერლებს შორის მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობის დასამყარებლად.

ბაჩანას ლექსები და პოემები

გამომც. „ფედერაციამ“ გამოსცა ბაჩანას (ნ. რაზიკაშვილის) ლექსები და პოემები. წიგნში მოთავსებულია 101 ლექსი და პოემები: „თალლაურა“, „ნანაის სიმღერა“, „ჭოტი და ჩიტები“, „ლექსი მსოფლიო მწუხარებაზე“, „საფრთხე“, „ღმერთები და სულა“, „პატარა მეხბორე“ და „წაწლობა“. წიგნს წამძღვარებული აქვს ბაჩანას მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და დართული აქვს ბაჩანას სურათი. წიგნი გამოსულია სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, შეიცავს 550 გვერდს, ჩასმულია ყდაში და ღირს 15 მან. 90 კაპ.

ჰაინე ქართულად

გამომცემლობა „ფედერაციამ“ დაბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ჰაინრიხ ჰაინეს ლირიული ლექსების ერთტომეული, თარგმნილი ხარიტონ ვარდოშვილის მიერ, კონ. გამსახურდიას რედაქციით და კრიტიკული წერილით.

წიგნში შეტანილია ჰაინეს ლექსების შემდეგი ციკლები: 1. ჭაბუკური ვნებანი, 2. ლირიული ინტერმეცო, 3. დაბრუნება სამშობლოში, 4. მოგზაურობა ჰარცში, 5. ახალი გაზაფხული, 6. რომანსები, 7. თანამედროვეობა, 8. სხვადასხვა, 9. რომანსები და მოთხრობები, 10 „გერმანია“, ნაწილი პირველი (პოემა). წიგნი შეიცავს 300 გვერდს.

სამეგრელოს აღნერა

გამ. „ფედერაცია“ ამ დღეებში ბაზარზე გასასყიდად გამოუშვებს მე-17 საუკუნის მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობილ შრომას სამეგრელოზე „სამეგრელოს აღწერა“. წიგნი გამოდის ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. წიგნი მდიდრულადაა დასურათებული მეჩვიდმეტე საუკუნის მისიონერ-მხატვრის ქრისტეფორე კასტელის სურათებით.

წიგნს დართული აქვს მეჩვიდმეტე საუკუნის სამეგრელოს რუქა.

„ანარეკლი“

მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „ფედერაციამ“ გამოსცა ბარიამ ვარიყულის რომანი „ანარეკლი“. წიგნი წეიცავს 240 გვერდს, ჩასმულია კალენკორის ყდაში და ღირს 6 მანეთად.

„ნარკვევები ქართულ პოეტიკიდან“

გასასყიდად გამოვიდა აკ. გაწერელიას წიგნი „ნარკვევები ქართულ პოეტიკიდან“. წიგნის შინაარსი: შესავალი, რუსთაველის პოეტიკის საკითხები, კლერიკალური რეაქცია და რუსთაველი, თეიმურაზ I, სულხან-საბა ორბელიანის პროზა, დავით ჯორამიშვილი, ბესიკი, ნიკ. ბარათაშვილის სტილი და თემა, პლატონ იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე, გოეტე ქართულ ლიტერატურაში.

წიგნი გამოსცა, „ფედერაციამ“ ღირს 4 მ. 80 კ.

სცენარი საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებიდან

მწერალმა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ სცენარისტ ვლადიმერ კარსანიძესთან ერთად დასწერა სცენარი საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებიდან „გუშინდელი სტუდენტის“ სახელწოდებით.

სცენარი აგებულია მეცნიერების კონსერვატიულ ფენასა და გამბედავ ახალგაზრდა მეცნიერს შორის მომხდარ კონფლიქტზე.

სცენარს საფუძვლად უდევს უძველესი სკოლების მეცნიერულ ძალთა პატივსაცემად კრემლში გამართულ ბანკეტზე დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინის** მიერ წარმოთქმული სიტყვა.

მიმდინარე 7 ივლისს საქართველოს კინო-სტუდიის სასცენარო განყოფილებამ განიხილა აღნიშნული სცენარი, მოიწონა იგი და მიიღო დასადგმელად 1938 წ.

დასვენების დღე კოლმეურნეობაში. მხატ. ბ. ...

ქართული ლექსითი თარგმანები

დისკუსია მწერალთა კავშირში.

ქართული მხატვრული თარგმანის ხარისხი დღეს ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების ამოცანა მოითხოვს, რომ ქართულ ენაზე ითარგმნოს მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ხალხთა სტალინური მეგობრობის ამოცანა გვავალებს, რომ ქართველი მკითხველი იცნობდეს იმ თვალსაჩინო და საყურადღებო მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებს შეუქმნიათ და რომლებსაც ეხლაც ჰქმნიან, ამდიდრებენ ანა ამით ჩვენს სოციალისტურ ლიტერატურას. ისახავს რა მიზნად მასობრივი მკითხველის ვაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, პარტია და ხელისუფლება ჰქმნის ყოველგვარ პირობას, რომ ქართულ ენაზე ითარგმნოს ყველაფერი ის, რაც ძვირფასია ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში. საბჭოთა ხელისუფლების ამ მზრუნველობით და ყურადღებით აიხსნება, რომ უკანასკნელ წლებში ქართულად ნათარგმნი ლიტერატურა რამდენჯერმე აღემატება მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში თარგმნილ ლიტერატურას. საბჭოთა პერიოდში ნათარგმნ ნაწარმოებს შორის ბევრია ისეთი, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდება კლასიკური თარგმანის ნიმუშებს, მაგრამ არა ნაკლებია ისეთი თარგმანიც, როშელიც დაახლოვებით წარმოდგენასაც ვერ იძლევა დედნის მხატვრულიდეურ ღირსებაზე. განსაკუთრებით ეს ითქმის ლექსად შესრულებულ თარგმანებზე. თუ რა არის ამისი მთავარი მიზეზი, ამის შესახებ ილაპარაკა **კონსტანტინე ჭიჭინაძემ,** რომლის მოხსენებითაც დაიწყო დისკუსია 25 ივნისს ქართული მხატვრული თარგმანის საკითხებზე.

მომხსენებლის დასკვნით, ლექსად თარგმნას ქართულად წინ ეღობება ერთი ობიექტური დაბრკოლება. ეს არის ქართული რითმის სიძნელე და სირთულე. ქართულ ლექსს სამგვარი რითმა აქვს. ერთმარცვლოვანი რითმა, რომლის რიცხვი მეტად განსაზღვრულია ქართულ ენაში, არ ეგუება ქართულ ძირითად სალექსო მეტრებს, მაშინ, როცა რუსული და ევროპული ლექსი მეტწილად ერთმარცვლოვან რითმებს ეყრდნობა. ორმარცვლოვანი რითმა ქართულ ენაში მრავალია, მაგრამ ასეთი რითმისათვის გამოსადეგია მხოლოდ ორმარცვლოვანი სიტყვები, ხოლო რუსულ ენაში ორმარცვლოვან რითმისთვის გამოდგება ყოველი სიტყვა, რომელსაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვს. სამმარცვლოვანი სარითმო სიტყვებით ქართული რუსულზე უფრო მდიდარია, მაგრამ მისი ნაკლი ის არის, რომ სამ და მეტმარცვლოვან რითმებს მხოლოდ დიდი მოცულობის სიტყვები შეიცავენ. ასეთ სარითმო სიტყვებს უპირავთ ხშირად სტრიქონის მესამედი და ზოგჯერ ნახევარიც, რაც მთარგმნელს დიდ დაბრკოლებად ეღობება, რადგან ამნაირად გარითმულ სტრიქონში ადგილი აღარა რჩება დედნის ფრაზის სრული შინაარსის გადმოსაცემად. ბევრი მთარგმნელი ამ სიძნელეს „თავს აღწევს“ იმით, რომ ან არღვევს ქართული ენის გრამატიკულ ნორმებს, ან ამარტივებს და ამახინჯებს დედნის შინაარსს. მე-19 საუკუნის მთარგმნელების ტრადიციის წინააღმდეგ, დღევანდელი მთარგმნელების დიდ ნაწილს დასაშვებად მიაჩნია გადაუხვიოს შინაარსს, უღალატოს ქართული ენის სიწმინდეს და ყოველივე ამის ხარჯზე მიაღწიოს ლექსის კეთილხმოვანებას. ამ ყოვლად შეუწყნარებელ პრაქტიკას მთელი ჩვენის ენერგიით უნდა ვებრძოლოთ. უმჯობესია ლექსით დაწერილი ნაწარმოები პროზით ითარგმნოს, ვიდრე ისეთი ლექსით. სადაც დაცული არ არის გრამატიკის ელემენტარული წესები.

ამ წინასწარი მოსაზრებების შეჯ-დეგ მომხსენებელი ამხ. კ. ჭიჭინაძე ქართული ენის სიწმინდისა და ქართული ლექსის თვალსაზრისით არჩევს უმთავრესად პუშკინის პოემებისა და ლექსების ქართულ თარგმანებს.

„ევგენი ონეგინის“ თარგმანზე პოეტ გრიგოლ ცეცხლაძეს დიდი ენერგია აქვს დახარჯული. იგი არ შორდება დედანს, მაგრამ ქართული ლექსის კეთილხმოვანების თვალსაზრისით იგი ხშირად შოისუსტებს. ზოგჯერ ავტორის აზრი სწორად არ არის გადმოცემული. მაგალითად, **„Как Саади некогда сказал“** ცეცხლაძეს უთარგმნია „როვორც საადი იტყოდა ხოლმეო“. ასეთი ფრაზა შეიძლება ითქვას მხოლოდ იშ კაცზე, რომელსაც შენ დროს უცხოვრია და რომლისგან ეს სიტყვები მოგისმენია. ცოდვის მაგივრად მთარგმნელი ამავე პოემაში ხმარობს სიცოდავეს. **Легит, как пух от уст Эола** თარგმნილია: „მოსწყდა ვით ბუმბლი ტუჩებს ეოლის“. ბუმბლის ნაცვლად უნდა იყოს ბუმბული. შემდეგ იმის მაგივრად, რომ იხმაროს სწორი ფორმა „მთელს ქვეყანაზე“, სწერს: მთელს ქვეყანაში და სხვა.

შედარებით კარგად აქვს ვ. გაფრინდაშვილს თარგმნილი „ბრინჯაოს მხედარი“, სადაც დაცულია ქართული ენის ნორმებიც და ლექსის კეთილხმოვანება, თუმცა ამ თარგმანშიაც ვხვდებით დედნის აზრის არასწორ გადმოცემას, მაგალითად: **И вдаль глядел**— ქართულად თარგმნილია: ველს გასცქერდაო.

სუსტად არის მიქ. პატარაიძის მიერ **შესრულებული** პოემა „ბოშების“ თარგმანი. **Мучительные сны**— **მტანჯველი სიზმრები** — მთარგმნელს **გაუგია** და **უთარგმნია** როგორც „მტანჯველი ძილი“, ხოლო ფრაზა **И всюду страсти роковые и от судеб защиты нет,**—პატარაიძეს ასე აქვს გადმოცემული: „საბედისწერო ვნებაა ყველგან და იღლისაგან არ გვყავს მფარველი“. ამ კოწტექსტში **страсти** არ შეიძლება ითარგმნოს „ვნებად“ და **судьба** კიდევ იღბლად, რადგან თარგმანში იღბალი ისმის როგორც ბედნიერება, რაც ეწინააღმდეგება დედნის აზრს. სამაგიეროდ თითქმის უნაკლოდ აქვს მიქ. პატარაიძეს თარგმნილი „სალთან მეფის ზღაპარი“.

კ. ნადირაძის მიერ თარგმნილი პოემა „გასუბი“ ოსტატური ლექსით არის შესრულებული. მთარგმნელი იშვიათად შორდება დედანს, მაგრამ ალაგ-ალაგ ამ თარგმანშიც ვხვდებით გრამატიკული ნორმების დარღვევას და უხეშ შეუსაბამობას. **მაგალითად, Неразраженная пищаль** თარგმნილია: „ჩახმახამართული თოფი“, რომელიც ურემში დევს. სად გაგონილა, რომ ჩახმახამართულ, გატენილ თოფს ურემში სდებდნენ? პოემაში „ლხინი ყამიანობის დროს“ **სტრიქონი: Его здесь кресла стоят пустые,** — გადათარგმნილია: „იმის სავარძლებს ცარიელს ვხედავთ“. უნდა იყოს [illegible] ... პუშკინის [illegible] ... ში Кресла—დ იხმარებოდა.

პუშკინის კრებულში მოთავსებული ორი ლექსი და აგრეთვე ევროპელ პოეტებიდან თარგმნილი ლექსები გივი გაჩეჩილაძისა მოწმობენ, რომ ამ მთარგმნელს შეუძლია სწორი ქართულით სთარგმნოს ძნელი ლექსები. თუ იგი საქმეს ყურადღებით და გულმოდგინედ მოეკიდება, მაგრამ ამ თვისებას იგი ყველა ლექსის თარგმნის დროს არ იჩენს. მაგალითად, ლერმონტოვის ლექსი „На смерть поэта“ უკიდურესად დამახინჯებული და შერყვნილია. **Оклеветанный толпой** გაჩეჩილაძეს გადაუთარგმნია: „ის დაცემული პატივაყრილად“, **пал с жаждой мести** „—გულს შური დარჩა.“ ყოვლად წარმოუდგენელია ლერმონტოვს პუშკინზე ეთქვას, რომ ის პატივაყრილი დაეცა ან გულს შური დარჩაო. პუშკინს ცილი დასწამეს და არა პატივი ახადეს. იგი დაეცა შურისძიებით აღსავსე და არა შურით აღსავსე. მთარგმნელმა უნდა იცოდეს, რომ შური და შურისძიება ერთი და იგივე არ არის.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ხარიტონ ვარდოშვილის მიერ თარგმნილი ჰაინეს ლექსის სტროფები და ამბობს, რომ ჰაინეს ლექსები ქართულად ენის სიფაქიზით და ფორმალური ღირსებებით მკითხველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენო.

დასასრულ, მომხსენებელი ჩერდება სიმონ ჩიქოვანის მიერ თარგმნილ „იგორის ლაშქრობაზე“. მას მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, რომლებიც, მისი აზრით, მოწმობენ იმას, თითქოს მთარგმნელმა ვერ გაიგო დედნის აზრი.

მაგრამ ამ მაგალითებმა სრულიადაც ვერ გააქარწყლა მკითხველი საზოგადოების მიერ მიღებული აზრი ამ თარგმნის კარგად შესრულების შესახებ.

მომხსენებლის მოურიდებელ, პირდაპირ კრიტიკას მწვავე კამათი მოჰყვა. გაიზიარეს რა მრავალ შემთხვევაში მომხსენებლის კრიტიკა, კამათში გამოსულმა ამხანაგებმა შემხვედრი ანგარიში წარუდგინეს კონსტ. ჭიჭინაძეს, როგორც მთარგმნელს. მაგ. სიმ. ჩიქოვანმა კონსტ. ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი პუშკინის ლექსებიდან და აგრეთვე „იგორის ლაშქრობის“ ამბებიდან მოიყვანა მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ კ. ჭიჭინაძეც სცოდავს ქართული ენის სიწმინდისა და კლასიკურად გამართულ ლექსის წინაშე. მეტად საყურადღებო იყო ალ. აბაშელის გამოსვლა. მან გამოიტანა მრავალი ფაქტი, თუ რა დაუკვირებლობით, უყურადღებობით და ზოგჯერ სრული უპასუხისმგებლობით უთარგმნიათ ჩვენს პოეტებს მაიაკოვსკის ზოგიერთი ლექსი, რომელიც საბედნიეროთ გასწორებული იქნა მანამდი, სანამ სტამბას გადაეცემოდა. სავსებით სწორი მოსაზრებები და სამართლიანი შენიშვნები გამოსთქვეს ჩვენი მთარგმნელების შრომებზე ამხ. ვ. გაფრინდაშვილმა, კ. გამსახურდიამ, ვ. წულუკიძემ და ვ. გორგაძემ, რომლებმაც ილაპარაკეს აგრეთვე თარგმნის საერთო მეთოდოლოგიურ პრინციპებზე.

მომხსენებელთან ერთად მათ მოითხოვეს გაჩაღდეს ბრძოლა რეალისტური ე. ი. მართალი შემოქმედებითი თარგმანისათვის. მოხალისეობას თარგმნის საქმეში ბოლო უნდა მოეღოს. თარგმანს ხელი უნდა მოჰკიდოს მხოლოდ იმან, რომელსაც ზედმიწევნით ესმის დედანი, რომელმაც კარგად იცის არა მარტო ქართული, არამედ დედნის ენაც, რომელიც აზროვნობს და გრძნობს ისე, როგორც დედნის ავტორი.

ლიტერატურული არქივი

ნ. ლომოურისა და დ. კლდიაშვილის წერილები *

დიდათ პატივცემულო ბ. ვანო!

ბოდიშს ვიხდი თქვენს მეორე წერილი. ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ მხოლოდ ამ ძეორე წერილის შემდეგ მოვახერხე პასუხის მოწერა. პირველი წერილი გორში მივიღე; წაკითხვის შემდეგ განვიზრახე თბილისში ჩამოსვლა და თქვენი პირისპირ ნახვა: ბევრი საალაპარაკო მქონდა თქვენი წიგნის ღირსება-ნაკლულევანებათა შესახებ და, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, ვამჯობინე თქვენი ნახვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვიცალე. მაინც იმედს არა ვკარგავდი და ამ იმედის გარეშემო ტრიალმა დღევანდელ ბოდიშამდე მიმაპძანა. კიდევ ვიხდი ბოდიშს და გთხოვთ მაპატიოთ ესეთი დაუდევრობა, უბედობა.

სურათი არა მაქვს, მაგრამ თბილისში შეიძლება კი მისი შოვნა. ალექსანდრეს ქუჩაზე № 52 საკუთარ სახლში სცხოვრობს ჩემი ნათესავი, განსვენებულ იოსებ ბაკრაძის მეუღლე ელისაბედ. ამათ აქვთ ჩემი ორი სურათი. მიბრძანდით, ნახეთ და, როშელიც მოგეწონოთ, ისა სთხოვეთ ჩემს მაგივრად; დარწმუნებული ვარ, მოგცემენ. ე დ ვიბადე 1853 წ. თებერვლის 19-ს. ს. არბოში (ქართლში), სადაც მღვდლობდა მამაჩემი. არბო პატარა სოფელია: სულ ოცდაათი კომლისაგან შესდგება. ბატონყმობა ამ სოფელს არ გამოუცდია: აქაური მცხოვრებელნი სახელმწიფო გლეხები არიან. ეს გლეხები სულ ერთად ჩვენი ნათესავნი და ნათესავშორნები არიან, ამის გამო პატარაობიდანვე მოკიდებული დღეა და ღამეს ამათთან ვატარებდი. ჩემ თვალსა და გულის წინ მთელი მათი ცხოვრება იყო გაშლილი, ცხოვრება, რომელიც უფრო მომეტებულად ჯაფისა და ტანჯვა-ვაებისაგან იყო შემდგარი, ვიდრე სიამოვნებისაგან. პატარაობიდანვე ორმა ძლიერმა გრძნობამ მოიცვა მთელი ჩემი არსება: გლეხკაცის სიყვარულმა და სიბრალულმა. მიყვარდნენ, როგორც ნათესავები და მეგობრალებოდნენ, როგორც ტანჯულნი. ქართული წერა-კითხვა დედამ მასწავლა, რუსული დავიწყე გორის სას. სასწავლებელში, სადაც მხოლოდ ორი წელიწადი დავყავ, მერმე თბ. სას. სასწავლებელში გადავედი, ორი წლის შემდეგ სას. სემინარიაში. ამ დროს აქ მოღვაწეობდნენ იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი. ეს პატივცემული პირნი თავიანთის ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებით, მიმართულებით ძალიერ გავლენას ახდენდნენ მაშინდელ სემინარიელებზე, უღვიძებდნენ მეცნიერებათა მესწავლეას, სხვადასხვა წიგნების კითხვას. ამ დროს წავიკითხე **ილ. ჭავჭავაძის „გლეხის ნაამბობი“.** ვერ ავწერ მოკლეთ რა ძლიერი შთაბეჭდილებაც მოახდინა ამ ჩანებულმა ძოთხრობამ ჩემზე. ჭავჭავაძის შემდეგ წავიკითხე გლებ უსპენსკი, ზლატოვრატსკი, ნეკრასოვი, რუშტნიკოვი, ლობროლუბოვი, ჩერნიშევსკი. ამ მწერლების დიდებულმა, ნათელმა აზროვნებამ, ძალმა მაღალმა პრინციპებმა და იდეალმა სულ მთლად გლეხებისაკენ მიატრიალეს ჩემი სული და გონება. პირველად ლექსებით ვიწყე წერა. 14 წლისა ვიყავ, როცა დავწერე ეს ლექსი, (ოცტა მახსოვს კიდევ (დაიბეჭდა „დროებაში“ 1867 წ.)

„გლეხკაცის ტანჯვას ვინ მრსოვლის?
ვინ მისცემს მის სენს წამალსა?
— იგი, რომელსაც გონება
გაუნათლია სწავლასა,
რომელიც ხედავს თავის ძმად
კაცსა ტანჯულსა, საწყალსა!
— იგი, ვინც საქმით, ვინც შრომით
გლეხკაცსა გვერდზე უდგება:
ლხინში ის მიჰყავს პირველი,
ჭირში თვით წინა უძღვება!“

სემინარიის გათავების შემდეგ კიევის სას. აკადემიაში ისტორიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. აკადემიიდან რომ დავბრუნდი, ოთხმოცდაათი თუმანი გადვიხადე და სასულიერო უწყებიდან გამოვედი. პირველ სამ წელიწადს თბ. სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად ვიყავ, შემდეგ გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლობა მივიღე და დღესაც აქ ვიმყოფები, ვასწავლი ქართულ ენას გორის საქალო გიმნაზიაშიც. მასწავლებლობის გარდა, ლიტერატურული მოღვაწეობაც მუდამ ეზიდავდა ჩემს გონებას. არ ვიცი, სწორე მოგახსენოთ, რომელი უფრო ძვირფასი და საყვარელია ჩემთვის—მასწავლებლობა თუ ბელეტრისტობა. დაწერილი მაქვს ოცამდე მოთხრობა. ამათში ორი სამავშოა: „ქაჯანა“ და „აწია მეგობრები“. ეს უკანასკნელი ბარშაჯ დაიბეჭდა „ნაკადულში“ და ტრესტომატიისათვის დამაალ კლასებში ეს ორი მოთხრობა გამოსადეგია. მაღალ კლასებში კი, ჩემის აზრით, კარგი იქნება „ალი“, „ყოველის მხრიდან“ და „ბერეა ქრისტესა ეშვილი“. ისე, ჩემი ბატონო, გავაქიანურე, მაგრამ თქვენ შეიამოკლეთ: აიღეთ, რაც სასარგებლოდ დაინახოთ.

თქვენი პატივისმცემელი **ნ. ლომოური**

გეთაყვა თქვენც არ დამიმახინჯოთ გვარი: ნამდვილი ჩემი გვარი ლომოურია და არა ლომაური

O

დიდათ პატივცემულო ბატონო ივანე მიხეილის ძეგ!

ბოდიშს ვითხოვ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ ავასრულე თქვენი თხოვნა. სინიდისს გეფიცებით მუდამ ამაზედ ჩემს თავს ვესაყვედურებდი, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ საშვალებას მაკლებდა ამესრულებინა თქვენი სურვილი. ნოემბრიდან დაწყებული მე ავათა ვარ და ეხლა ცოტათი უკეთ შევიქენი, თუმცა ისეთნაირათა ვარ, რომ მტერსაც არ ვუსურვებ ამგვარ მდგომარეობას. კაცი გამზადებული ახალი ცხოვრებისათვის,—რადგან მე ვაპირობდი სამსახურიდან გამოსვლას—ისეთნაირი უძლური, ავადმყოფი შევიქენი, რომ ახლაც მგონია, რომ ჩემი სიცოცხლე გათავებულია და რაიმე გამობრუნება არ მეღირსება; შიში მკლავს იმისი, რომ არ მომესწოს უნარი შრომისა, განსაკუთრებით იმ ჩემთვის ძვირფას შრომისათვის, რომლისათვის მე მასალაც შემზადებული მაქვს და ერთგვარი გეგმაც შედგენილი. ნუ თუ ბედი ჩემი ისეთია, რომ იძულებული ვიქნები შევსწყვიტო შრომა იმ დროს და იმ ადგილას, როცა იგი უფრო საინტერესო და საყურადღებო ხდებოდა?! აი ამის შიში სისხლს მიშრობს და ტვინს მიღილავს. უკანასკნელმა წერილმა იმდენი არყიფს ჩემი ნერვები, ისეთი შრომა ხედებოდა მათ, რომ ჩემმა სუსტმა აგებულობამ მეტი ვეღარ შეიძლო და უძლური შემქმნა. ოჰ, ღმერთო, ნეტავი თუ კიდევ ერთრიგად მიიხე გამოვბორნდები და მეღირსება დაწყებული შრომის გაგრძელება!

სანამ ეს ბედნიერი წამი მოახლოვდებოდეს, შეიძლება კიდევ ბევრმა დრომ გაიაროს, ახლა კი შევეცდები ავასრულო თქვენი თხოვნა. აი მოკლედ ჩემი ბიოგრაფია.[1])

მე დავიბადე იანვრის 1-ს 1863 წელს, როგორც ოფიციალურად სწერია, ნამდვილ კი 1862 წელს სექტემბრის 28. მამა ჩემი ყვრილი მემამულე აზნაურია. იგი მსახურობდა ქუთაისში. ოჯახს კი განაგებდა ედა ჩემი, ღოღობერიძის ქალი.

პატარობიდან მე ვიდექი ერთი რუსის ოჯახში, სადაც ვსწავლობდი რუსულს და ვემზადებოდი სასწავლებელში შესასვლელად. ერთი წელიწადი ვიყავი ქუთაისში ერთ დროს ცნობილ მრეველოვის კლასში. 1872 წელს ჩვენელებისამებრ 42 ბავშვი ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებიდან ვაგზავნეს რუსეთში კიევის სამხედრო გიმნაზიაში; იქ გამოცდის შემდეგ დაგეტოვეს მხოლოდ 25 ბავშვი და ამათგან გიმნაზია გავთავეთ 6-7, დანარჩენები ზოგი სხვაგან პროგიმნაზიებში გადიყვანეს, ზოგნი სულ დაითხოვეს, რამოდენიმე კი ვერ აიტანეს იქაური ჰაერი და გამოესალმნენ ამ წუთისოფელს. გიმნაზია შენენაგად იყო დაყენებული. საოცრათ შერჩეული იყვნენ როგორც აღმზრდელები, ითქმის ყველანი უნივერსიტეტ დასრულებულნი პირები, ისე სამაგალითო მასწავლებლები, პირველ წლისავე დამლევს ბევრს მიგვავიწყდა ქართული ენა. ჩვენ ბავშვები ხშირად ვიკრიბებოდით ერთათ, ვლანდლობდით ერთმანეთში ლაპარაკით შშობლიური ენა არ დაგვეივიწყნა, მაგრამ ბევრს ვერას ვხდებოდით. მეორე წელიწადს ძლივსღა ვახერხებდით ქართულს. ვინც ჩვენზედ წინად იყვნენ მოსულები და ამყოფებოდნენ უფროსს კლასებში, ამათ უკვე სრულიად ქონდათ მივიწყებული შშობლიური ენა, სამშობლოც და არავინ ინტერესი მისი მათში აღარ მოიპოვებოდა. პირადად ჩემდა ბედისათ მე სხვა ბედი მერგო. მესამე წელიწადზედ ჩემმა შშობლებმა მე სახლში წამიყვანეს საზაფხულოთ. რასაკვირველია, მე ინჩიკ არა გამეგებოდა ქართულისა. სოფელში მისვლის დროს ჩვენს ეზოში თლათ ჩვენს კუთხეს თავი მოეყარა. ჩვენ ყოველთვის მეზობლობაში და გლეხკაცებთან კეთილი განწყობილება გვქონებია და გადაკარგული ბავშის შესაგებებლად და შშობლების სიხარულის გასანაწილებლად ატარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ეს სურათი მე არასოდეს არ დამავიწყდება. ყველანი მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, სიხარულისაგან თავსაც დამტირიდნენ. ერთმა გლეხმა კიდევ ითხოვა: „ამ დალოცვილებს თუ ბავშვს დამუნჯება განათლებათ მიაჩნიათ, რაღა გადასაკარგავი აგზავნიდნენ, — აქვე ოთახში დაიმწყვდიათ, ამითაც დამუნჯდებოდა“. ეს იმიზედ სთქვა, რომ მე ქართულად ლაპარაკი არ შემეძლო, გაბრუნებასას მე წავიდე თან ქართული წიგნები, ორ თვეში ერთრიგათ ლაპარაკიც დავიწყე. შემდეგ წლებში კი ყოველ ზაფხულობით მივდიოდი ხოლმე სახლში. ამასთანავე კიევში ისეთი პირები აღმომიჩნდენ მფარველ ანგელოზებად, როგორც ჩვენი ცხობილი მწერალი ნიკო ლომო